საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 27 ივნისი, 2013 წელი.

№119 (7246)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გია კრიალაშვილი საკაშვილის ბრძანებით მოკლეს

7

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე აკადემიის საპატიო პრეზიდენტია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრებამ, რომელიც შედგა ამა წლის 26 ივნისს, აკადემიის საპატიო პრეზიდენტად, ისე როგორც თავის დროზე ჩვენი დიდი ნიკო მუსხელიშვილი, აირჩია მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის, ამერიკისა და ევროპის ნაციონალური აკადემიების წევრი აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე**.

დემურ გაშელიშვილი:

დრო არ ითმენს, დრო, რომელიც უკვე დაკარგეთ და რომელშიც ვერ შესრულდა ამოცანების ძირითადი ნაწილის დაკვეთა, სადაც საგანმანათლებლო სისტემაში წესრიგის დამყარება განსაკუთრებული მოთხოვნაა 5

მოკლულია თუ არა ზურაბ ჟვანია?

2

ზაზა ხატიაშვილი:

4

მირჩევნია ბორბლები იყვნენ პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორიც, ოღონდ კანონი იყოს კეთილი

1 ივლისიდან სოციალური დახმარება იზრდება

5

რას ელის მსოფლიო ლოხ-ერნის შეხვედრისგან?

9

3

ლუსტრაცია

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პრესკონფერენცია

ანდერს ფოგ რასმუსენი: საქართველომ ძალიან დიდი პროგრესი განიცადა

ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველომ, ფაქტობრივად, აირჩია საკუთარი გზა, იმისკენ, რა გადაწყვეტილებაც მიღებულ იქნა ბუქარესტში 2008 წელს.

— ეს არის ნატო-საქართველოს კომისია, რაც განსაკუთრებული სტრუქტურაა. მხოლოდ საქართველოს და უკრაინას აქვთ ასეთი ცალკე კომისიები. 2008 წელს ბუქარესტის სამიტის ერთგულებისათვის ნატო-საქართველოს კომისია ჩამოვაყალიბეთ, გადაწყვეტილება იყო მიღებული იმის შესახებ, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი იმ პირობით, თუ საჭირო მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ნატო-საქართველოს კომისიის ჩარჩოებში ჩვენ ვთანამშრომლობთ იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც 2008 წელს ნატოს სამიტზე დაისახა. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საქართველომ ძალიან დიდი პროგრესი განიცადა. დარწმუნებული ვარ, რომ თანამშრომლობით ჩვენ დამატებით წინ წავიწევთ და საბოლოოდ მინდა განვაცხადო, რომ ნატოს კარი გახსნილია, ჩვენ ეს განვაცხადეთ რამდენიმე ღონისძიებაზე, კარი რჩება გახსნილი იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან შესაბამის კრიტერიუმებს, — განაცხადა რასმუსენმა.

ბიძინა ივანიშვილი: ანდერს ფოგ რასმუსენი დავარწმუნე, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაცილებით უკეთესი იქნება

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— როგორც იცით, ეს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მესამე შეხვედრაა, რომელიც საქართველოში იმართება. ასეთი შეხვედრები ამტკიცებს იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც ნატოს წევრები იჩენენ საქართველოსთან მიმართებაში. თავის მხრივ, საქართველოც თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს, რომ რაც შეიძლება მალე გახდეს ამ ძალიან ღირსეული ალიანსის წევრი. გვქონდა საინტერესო საუბარი, რისთვისაც ალიანსის გენერალურ მდივანს მინდა მადლობა გადავუხადო. შევეხეთ რამდენიმე ეტაპს, ვისაუბრეთ განვლილ პერიოდსა და მომავალზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ურთიერთობები. განვლილ ეტაპზე საუბრისას, პირადად მე აქცენტი გავაკეთე 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე და აღვნიშნე, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. განვაცხადე, რომ ძალიან თანმიმდევრულია ჩვენი ქმედებები არჩევნების შემდგომ პერიოდში დემოკრატიული ინსიტუტების მშენებელობის კუთხით, რაც ასე აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ნატოს წევრი. გენერალური მდივანი დავარწმუნე და აქცენტი გავაკეთე იმაზე, რომ გაცილებით უკეთესი და ევროპული ტიპის იქნება საპრეზიდენტო არჩევნები. ეს იქნება ბოლო წერტილი იმისთვის, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა, საერთაშორისო თანამეგობრობამ დაინახოს ახალი ხელისუფლების საბოლოო სახე. ეს გარწმუნებთ, გაგვიიოლებს ნატოსკენ წინსვლას“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

გარდა ამისა, პრემიერის თქმით, ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრაზე საუბარი რუსეთთან ურთიერთობებსაც შეეხო.

— აღვნიშნეთ, რომ სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებით წარმატებული ნაბიჯები მისასალმებელია, შეშფოთება გამოვთქვით იმის გამო, რაც ხდება კონფლიქტისპირა სოფლებში — მიმდინარეობს მავთულხლართების გაბმა. დღემდე ვერ ამიხსნია და გენერალურ მდივანთანაც გამოვთქვი გაკვირვება, რომ პოზიტიური ნაბიჯების პარალელურად ასეთი ქმედებები გაუგებარია. მით უმეტეს, რომ ის თვითონ რუსეთისთვისაც არ არის დამატებითი პლუსების მომტანი, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და იქვე განმარტა, რომ ანდერს ფოგ რასმუსენი რუსეთთან ურთიერთობებში საქართველოს ახალი მთავრობის პრინციპულ და თანმიმდევრულ პოლიტიკაშიც დაარწმუნა, რომელსაც იმ დონემდე მიიყვანს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ხელი არ შეუშალოს.

გარდა ამისა, პრემიერმა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ 2014 წლის შემდეგაც ქართველი სამხედროები იქ სამსახურს გააგრძელებენ.

ინტერპრესი

◎ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

აკადემიკოსი თემურ ნანეიშვილი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში კიდევ ერთი საერთო კრება გაიმართა. ახლად არჩეული პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი (ოთარ) კვესიტაძის წინადადებით, ჯერჯერობით ერთამდე შემცირდება ვიცე-პრეზიდენტების რიცხვი. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად ფარული კენჭისყრითა და ხმათა უმრავლესობით არჩეულია გამოჩენილი ფიზიოლოგი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი **თემურ ნანეიშვილი**.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ჩვენს გარდა მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ნებისმიერ კარზე რო დააკაკუნო, ეს ოჯახი სრულფასოვან მოწმედ გამოდგება და ექსხელისუფლების წინააღმდეგ ისეთ ჩვენებას დადებს, ქვას გახეთქავს. არ არსებობს ოჯახი, ვიმეორებ, არ არსებობს(!!), რომელსაც საკუთარ თავზე არ ეწვნიოს სააკაშვილის რეჟიმის უსამართლობა! და ესეთ „იავნი“ დანაშაულებრივ კლანს 10 თვე რო ვერ (ან არ) იჭერ, რა ქვია ამას? (მართლა მაინტერესებს).

● მოკლედ, ყველა მომგებიანი გათამაშება, სადაც ვერაფერი მოიგეთ და ეწერა „მოგების გარეშე“, ამიერიდან შემოგთავაზებთ „ბოდიშს“!

● სერიალების აკრძალვის თემაზე:

ჩემი აზრით, უნდა გაიწეროს რეგულაციებში, რომ მდარე ხარისხის პროდუქცია არ უნდა გადიოდეს დღის საათებში. კეთილი ინებონ ტელეარხებმა, მეტი ფული გადაიხადონ და იყიდონ ნორმალური სერიალები.

● ერთი კვირაა იმას განიხილავს ყველა, აჩვენონ თუ არა კადრები (წამებისა, რა თქმა უნდა) მოსახლეობას. ამდენს ვისმენთ მაინც და ისედაც დავიზაფრეთ, ყველამ იცოდა და ჩურჩულებდა აქამდე, ზოგი ხმამაღლა ამბობდა, მაგრამ არავინ უსმენდა, ხოდაა, რადგანაც სულ ტრ.... ეა ლაპარაკი და კოშმარებზე, გამოცხადდეს დრო წინასწარ, რომ ბავშვები მოვარიდოთ ტვ-ს და გაუშვან. უკვე შეუძლებელია ასე ცხოვრება. ან ასე ქენით, ან ისე.

● „თუ არ ვაკეთებ, ხო არ ვაფუჭებ“ ხალხით გაივსო ხელისუფლება.

● კაროჩე გავარია, ნაციონალები შავ დღეში არიან. თვითონაც ბევრი აქვთ ნაჭამი და ბოლომდე ვერ ემიჯნებიან ამ გიჟს, არადა იციან ყოველდღე ნაღმზე ზიან მაგის გადამკიდე. მოკლედ, დაახლოებით ასეთი პოზიცია აქვთ — ნუ მიშა კია ღმერთი, მარა ჩვენ გავხდით ათეისტებიო .

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

გეი-აღლუმებისა და ქართული მიწების გასხვისების წინააღმდეგ ხელმოწერების შეგროვება იწყება

„თავისუფალმა საქართველომ“ პარლამენტში „შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებათა პროექტები შეიტანა. პარლამენტის ბიურომ უკვე დაამტკიცა პარტიის ინიციატივა.

რელიგიურ დაწესებულებებთან გეი-აღლუმების და მსგავსი მანიფესტაციების გამართვა, მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია და ეს უკანასკნელმა მოვლენებმაც დაადასტურა. შესაბამისად, „შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებათა პროექტი მიზნად ისახავს, რომ თავიდან იქნას აცილებული სიტუაციის ესკალაციის რისკები. კანონპროექტის თანახმად, იკრძალება შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარება რელიგიური დანიშნულების მქონე ნაგებობებში და მათ სიახლოვეს, თუ შეკრებამ შესაძლოა, რელიგიური შუღლის გაღვივება გამოიწვიოს. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების მიზანია, შეაჩეროს ქართული მიწების უკონტროლოდ გასხვისების ტენდენცია, რაც ბოლო წლებში გამოიკვეთა.

კანონპროექტის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეს, კომლს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, თუ მასში 50%-ზე მეტი ეკუთვნით საქართველოს მოქალაქეებს.

იმისათვის, რომ კანონპროექტები გავიდეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საჭირო 30.000 საქართველოს მოქალაქის ხელმოწერა. „თავისუფალი საქართველო“ თხოვს პოლიტიკურ პარტიებს და არასამთავრობო სექტორს, დაეხმაროს მას ხელმოწერების საჭირო რაოდენობის შეგროვებაში.

ნატა ნიბლაძე

◎ გამოძიება

მოკლეს თუ არა ზურაბ ჟვანია?

მალე მიიღებთ პასუხს, მოკლეს თუ არა ზურაბ ჟვანია, — აცხადებს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი გაზეთ „ყველა სიახლესთან„ ინტერვიუში. მთავარი პროკურორის განმარტებით, გამოძიება წინ მიდის და დარწმუნებულია, რომ ის წარმატებით დასრულდება.

— გამოძიება ჩიხში არ შესულა. პირიქით, გამოძიება წინ მიდის და დარწმუნებული ვარ, წარმატებით დასრულდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ზუსტად დადგინდეს, რა მოხდა — ადამიანი მოკლულია, თუ უბედური შემთხვევის მსხვერპლია. ამის გაცხადება ამჟამად მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, მაგრამ ყველა საკითხი, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი, პასუხგაცემული იქნება. დღეს რა კითხვაც აფიქრებს და აწვალებს საზოგადოებას — ეს იყო მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა, ამ კითხვაზე მალე მკაფიოდ მიიღებთ პასუხს, — აცხადებს კბილაშვილი.

გარდა ამისა, ინტერვიუში მთავარი პროკურორი სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიების პროცესზეც საუბრობს და აღნიშნულთან დაკავშირებით დეპუტატ ლევან ბერძენიშვილის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას ეხმიანება, რომლის მიხედვითაც, შარდენბარის სუფრის წევრებს, კერძოდ, თაკო სალაყაიას კუდ-ის თანამშრომლები სანდრო გირგვლიანის წამებას ასმენინებდნენ. კბილაშვილი აღნიშნულს უარყოფს და აცხადებს, რომ საქმის მასალებში ასეთი ჩანაწერი არ არსებობს.

მელნიკოვს, ახალაიას და ქოქიაშვილს ბრალს წარუდგენენ

სანდრო გირგვლიანის საქმეზე დათა ახალაიას, ოლეგ მელნიკოვსა და საქმის ახალ ფიგურანტს - დაკავებულ დავით ქოქიაშვილს ბრალს უახლოეს პერიოდში წარუდგენენ.

„ინტერპრესნიუსი“ ოლეგ მელნიკოვის ადვოკატსაც დაუკავშირდა, რომელსაც მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის ბრალის დამძიმებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია ჯერჯერობით არ გააჩნია.

ახალი ხელისუფლების პირობებში დაწყებული ხელახალი გამოძიების ფარგლებში, კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია 2006 წელს, შარდენის ცნობილი სუფრიდან სანდრო გირგვლიანზე ანგარიშსწორების შემკვეთად დასახელდა.

შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი კი, რომელიც ძებნილი იყო, დააკავეს და ამჟამად უკრაინის ციხეში იმყოფება, მისი ექსტრადირება კი, ამ დრომდე ვერ მოხერხდა, შარდენის სუფრის წევრი იყო. მელნიკოვი დანაშაულში მონაწილედ მოიაზრება.

რაც შეეხება დავით ქოქიაშვილს, იგი გუშინ თბილისის პროკურატურამ სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის გატაცებისა და ოქროყანის სასაფლაოზე ჩადენილი დანაშაულის მონაწილეობისთვის დააკავა.

პროკურატურის ინფორმაციით, ქოქიაშვილი დანაშაულის კიდევ ერთი, მეხუთე მონაწილეა.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, აღნიშნული პირის მონაწილეობა ჩადენილ დანაშაულში უკანასკნელ პერიოდამდე დაფარული იყო საზოგადოებისათვის. დაკავებული დანაშაულის ჩადენის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. 2006 წლის 30 სექტემბრიდან იგი მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსად დაინიშნა, შემდეგ შს სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად. ამ თანამდებობაზე დავით ქოქიაშვილმა 2011 წლის სექტემბრამდე დაჰყო. 2011 წლის სექტემბრიდან „კუდ„-ის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა, ხოლო 2012 წლის 18 ოქტომბრამდე ისანი-სამგორის შს სამმართველოს უფროსად, საიდანაც დაითხოვეს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კანონი, რომელიც გვჭირდება



ლუსტრაცია

სრულიად ბუნებრივია ნებისმიერი ადამიანის სურვილი, იცოდეს ვინ არის მისი მეზობელი, თანამშრომელი, თანაპარტიელი თუ თანამეინახე. ღირსების მქონე, თავმოყვარე ადამიანი ვერ იმეზობლებს და ითანამშრომლებს გარეწართან, უღირსებო კაცთან, ვერც სუფრასთან დაჯდება მასთან და, მით უმეტეს, ვერც ადღეგრძელებს. ამიტომ, სულაც არ იყო მოულოდნელი და გასაკვირი ამ ოციოდე წლის წინათ საქართველოს პარლამენტში აგორებული მოთხოვნა: გაგვაგებინეთ, ვინ ვინ არისო! გასაკვირი სხვა რამ იყო, კერძოდ ის, რომ მოითხოვდნენ ისეთი კანონის მიღებას, რომელიც ნიღაბს ჩამოხდიდა ყველას, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, ნიღბით მალავდა ნამდვილ სახეს, ვინაობასა და სადაურობას. ასეთ კანონს იურიდიულ ენაზე ლუსტრაციის კანონი ჰქვია.

დასამალად და სანიღბოდ ბევრს ჰქონდა და აქვს საქმე: ზოგი გვარსა და წარმომავლობას მალავს, ზოგი — თავის განათლებასა თუ გაუნათლებლობას, ზოგი — წარსულ საქმიანობას, ზოგი რას და ზოგი რას. ჩვენს პარლამენტშიც და მის გარეთაც, ოპოზიცია თუ ხელისუფლება, პოლიტიკოსები თუ გაპოლიტიკოსებულები დღენიადაგ გულზე მუშტს იბრაგუნებდნენ და გაიძახოდნენ, ლუსტრაციის კანონის მიღება გვიშველის თუ გვიშველისო, მაშინ გავიგებთ, ვინ ვინ ხართო. ვინ ვინ არისო კი არა, ვინ ვინ ხართო! თითოეული მათგანი, ხომ თავს უცოდველად წარმოგვიდგენდა და მხოლოდ სხვებზე ჰქონდა ეჭვი.

ამ კანონის მიღება არა და არ მოხერხდა. ამის მიზეზის მიხვედრას დიდი გამჭრიახობა და ცოდნა არ სჭირდება. ისედაც ყველაფერი ნათელია: ლუსტრაციის კანონი გვინდაო, ჩვენს გასაგონად ყვიროდნენ, თორემ მათს უმრავლესობას შიშის კანკალი ჰქონდა, ე, მანდ ეგ კანონი მართლა არ მიიღონ და ეს ძლივს მორგებული მამა აბრამის ბატკნის ქურქი არ გაგვხადონო. მაგრამ ძველთაგან ცნობილია ჭეშმარიტება: „არა არს დაფარული, რაიცა არ გაცხადდეს!“ გაცხადდა კიდეც!

ამ ბოლო ხანებში ჩვენს ხალხს ისეთი გამოცდა მოუწყო განგებამ, რომ ერთბაშად გამოჩნდა, ვინ ვინ არის. გაჭირვებაში ყოველგვარი ლუსტრაციის კანონის გარეშეც ჩანს კაცის ავ-კარგი. ჩვენ რა გაჭირვება დაგვადგა ასეთი? რა და, „გაღმიდან“ შემოგვითვალეს: ან გაპედერასტდით, ან ჩვენი იმედი არ გქონდეთო!

ჩვენ არც არასოდეს გვქონია „გაღმელების“ იმედი. ეს ჩვენიანების ერთი ნაწილია, რომელიც „გაღმელებზე“ ლოცულობს, მათი წესი და რიგი მიაჩნია სანიმუშოდ და მისაბაძად, მათით უდგიათ სული და იმიტომ! ბევრი მათგანი „გაღმა“ „განსწავლულ-განათლებულია“ და ჩვენს შორის თავი ისე მოაქვს, როგორც ერთ თბილისურ ანეკდოტშია, ხეოს ძმამ ლეომ საზღვარგარეთ რომ მიიღო განათლება და უკან დაბრუნებულმა ხეოს განუცხადა: მე ლეო აღარ დამიძახო, ახლა ლუი მქვიაო. ძმის რეაქცია გეცოდინებათ და აღარ შეგახსენებთ.

ჰოდა, გრანტების დაკარგვის შიშით ყველა გრანტიყლაპიამ გამოამჟღავნა ვინ იყო და რას ემსახურებოდა: ჩვენ რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი გვეგონა, თურმე უკუღმართი ტვინის მქონეთა თავისუფლებისათვის მოღვაწე ყოფილა, ჩვენი სახალხო დამცველი, გაღმელების ენაზე ომბუდსმენი, სინამდვილეში პედერასტების მხურვალე მხარდამჭერი აღმოჩნდა, ის კაცი კი, ქვეყნის პატრიოტად რომ ჩათვალა ხალხმა და მთელი მისი ოჯახი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დასვა, აი, როგორი ლიბერტარიანელი აღმოჩნდა: მეო, — უთქვამს, — ჩვენს შვილს იმას არ ვასწავლი, რომ სამშობლოს უნდა შეეწიროს. მთავარია, თავისუფალ ადამიანად გაიზარდოს და თავად გადაწყვიტოს, ვის და რას შეეწიროსო.

ისე, მართალი გითხრათ, ამ ჩვენი ერთ-ერთი ლიბერტარიანელი ხელისუფლის ეს გამონათქვამი ჩემი ყურით არ მომისმენია, ცნობილმა პუბლიცისტმა და მხურვალე პატრიოტმა დავით მხეიძემ მოისმინა „კავკასიის“ ეთერში და არავითარი საფუძველი არა მაქვს, რომ არ ვენდო მას. ისღა დამრჩენია გულში მჯიღი ჩავირტყა და ზეცას შევჩივლო: ნუთუ იმისთვის ვიბრძოდით, ღმერთო, რომ ამნაირი კაცები მოსულიყვნენ ხელისუფლებაში!

მაინც რას ამბობს ეს ლუსტრირებული ხელისუფალი: მე თავისუფალ ადამიანად ვზრდი ჩემს შვილს, ანუ მასზე აღმზრდელობით ზემოქმედებას არ ვახდენ და თვითონ გადაწყვიტოს, ვის და რას შეეწიროსო. ერთი მითხარით, რომელიმე ნორმალური ადამიანი ზრდის შვილებს ასე? განა ადამიანისთვის სულ ერთია, მისი შვილი კაცობის ერთგული იქნება თუ არაკაცობისა? სამშობლოსათვის გადასდებს თავს, თუ სამშობლოს მტრისთვის? თავისი იურისტი დედ-მამა ეყვარება, თუ ნორვეგიელი ბრეივიკი, რომელმაც ერთ ჯერზე, ერთმანეთის მიყოლებით ოთხმოცი კაცი დახოცა, მათ შორის ქართველი გოგონაც? განა შეიძლება ჯანსაღ ტვინში ამნაირი აზრი გამოინასკვოს? შეუძლებელია! ჰო, და ასეთი ტვინის კაცი გვიზის ერთ-ერთ მთავარ უფროსად.

მეც საქართველოს ყველაზე უფრო ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრივით უნდა ვთქვა: რა კარგი ყოფილა ეს ლუსტრაცია, ყველა გავიგეთ ვინ რა არის (იმ მინისტრმა ეს თქვა დემოკრატიის შესახებ!). რახან გავიგეთ, ვინ ვინ არის, ახლა კაცები თუ ვართ, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც თვალახელილ ხალხს შეეფერება. მაინც როგორ? აი, მაგალითად, ოცდაათი პედერასტი მოითხოვს აღლუმის ჩატარებას რუსთაველის გამზირზე თავიანთ ორმოცდაათ ფანთან ერთად, ხოლო სამი მილიონი კაცი ამის წინააღმდეგია, ის სახალხო დამცველი, რომელიც სამი მილიონი კაცის უფლებებს ფეხებზე დაიკიდებს და ოცდაათ პედერასტს დაუდგება დამცველად, ის „სახალხო დამცველი“ ჩვენ უნდა დავიკიდოთ... ხოლო იმ კაცს, რომელიც თავისი პირით ამბობს, მე შვილებს სამშობლოს ერთგულებას არ ვასწავლიო, სამშობლოს მართვის შტურვალი ხელიდან უნდა გამოვგლიჯოთ (მე რომ ვიცი, ასეთი კაცები მართვის შტურვალს კი არა, თავისი ნებით სანთებელას არ გაუშვებენ ხელს!). აი, ასე თუ არ ვქენით, მათი მიბაძვით ხვალ შეიძლება ჩვენმა შვილებმაც ხელი აიღონ კაცობაზე. არადა, ამ „გამოჩენილი“ ხალხის საქციელი მისაბაძია მოზარდებისათვის (აბა ჩემი ხნის კაცი, რომ სხვისი მიბაძვით დაიწყებს აზროვნებასა და მოქმედებას, პირდაპირ სურამის საგიჟეთში უნდა გაგზავნო მკაცრი რეჟიმის პირობებში სამკურნალოდ).

უნდა ვაღიაროთ: იმ ლუსტრაციამ, რაზეც ახლა ვლაპარაკობდი, საქართველო ორად გაყო (კიდევ კარგია, რომ არათანაბარ ნაწილებად!) ქართველებად და ანტიქართველებად. ისინი ცოტანი არიან, მაგრამ საშიშნი, რადგან მომაკვდინებელი სენი სჭირთ. ამას გადაგვარჯიშჯილაგება ჰქვია. მტრისას, ვისაც ის შეეყრება, დაკარგავს ეროვნებას და ენას, გვარსა და ჯიშს, ზნეობასა და სქესს და უეროვნებო, უსქესო, უგვარო, უჯიშო, უზნეო, არსებად იქცევა, რომელსაც საერთო აღარაფერი ექნება ადამიანთან; არც ცხოველთან! აბა, ვის უნახავს ან გაუგონია უჯიშო და უსქესო ცხოველი! არავის! ამიტომ მკვეთრად და გადაჭრით უნდა გავემიჯნოთ გადაგვარჯიშილაგებულობის ბაციილით დაავადებულებს, რათა უკურნებელი სენი არ შეგვეყაროს, ან ჩვენ, ან ჩვენს შთამომავლებს.

დღეს ბოროტთან და „ბილწთ რომ არ შეეკრა ზავითასთან“ გამიჯვნა, ძნელი არ არის. ლუსტრაციის კანონი, რომელსაც ასე ნატრულობდნენ პოლიტიკოსები, მიღებულია. ის თვითონ ცხოვრებამ მიიღო და ამიტომ მას არც რატიფიკაცია სჭირდება და ვერც ვეტოს დაადებს ვინმე. ყველაფერი გაცხადდა და ახლა ვინ რა კაცია, მისივე მოქმედება გამოაჩენს: გვერდით მოისვამ და ჩაეხუტები ქვეყნის გამყიდველ-მოღალატეებს, საფრანგეთსა და ზნედაცემულებს? მაშინ, „ბილწთა შეკვრიხარ ზავითა“ და ეგაა! შენს თანამემამულეებთან მისასვლელი ხიდები დაგიწვავს და წინაპართაგან ნაანდერძევ საუნჯეზე ხელი აგიღია.

ეგ ჯოჯოხეთის გზაა, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით მიდის — განკითხვისაკენ!

ზურაბ ცუცქირიძე

◎ ფინანსური რესურსი

„ორმაგძირიანი ჩემოდნის“ დასასრული?

საქართველოში ფინანსური რესურსების სიძვირე ყველა დაინტერესებულმა იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირმა კარგად იცის. სიძვირის გარდა, კომერციულ ბანკების პოტენციური კლიენტები კიდევ ერთ სირთულეს აწყდებიან: ბანკირები მაქსიმალურად არიდებენ თავს მაღალი რისკების შემცველი სფეროების (მაგალითად, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის) დაფინანსებას. ამის თაობაზე უამრავი საგაზეთო მასალა გამოქვეყნდა, მათ შორის ჩვენს გაზეთშიც, თუმცა ეროვნული ბანკი, რომელსაც, მართალია, კომბანკების საქმიანობაში პირდაპირ ჩარევა არ შეუძლია, მაგრამ მათზე ზემოქმედების ქმედითი ბერკეტები აქვს, ვითარების გამოსასწორებლად მაინცდამაინც დიდად არ ირჯება. ამასობაში კი, ასე ვთქვათ, „ფინანსური ეშელონი“ თავისი სვლაგეზით მიდის, თანაც, როგორც რეალობა მოწმობს, სიჩქარესაც კრეფს.

საქმე ისაა, რომ როცა ბიზნესის წამოწყების მსურველი პირი კომერციულ ბანკს (და არა ერთს!) მიაკითხავს, მაგრამ მაღალი რისკების შემცველ ბიზნესგეგმას ამა თუ იმ მიზეზით უწუნებენ, საჭირო ფინანსური სახსრების წყაროს ძებნაში იგი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მიადგება. ეს ფინანსური ინსტიტუტები კი, რომ იტყვიან, „ორმაგძირიანი ჩემოდნებია“: ერთი რომ, კრედიტი იქ გაცილებით ძვირია, თანაც უმრავლესობა იმავე კომერციული ბანკების შვილეული კომპანიებია! ჰოდა, ფაქტობრივად, გამოდის, რომ ახალბედა ბიზნესმენი თუ, უბრალოდ, გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი, რომელსაც საცხოვრისის დაგირავების (ანუ იპოთეკის) გარდა, სხვა აღარაფერი დარჩენია, ორმაგ ხაფანგში ებმება.

ამ ერთი შეხედვით შემტევი პრეამბულის შემდეგ მთავარ სათქმელს მივადექი, თუმცა კი, სიმართლის თქმა არაკეთილმოსურნეობას სულაც არ ნიშნავს, ხოლო თუ რისთვის გაკეთდა ერთგვარად კრიტიკული აქცენტები, ამას შემდგომ მოგახსენებთ.

მსოფლიოს ერთ-ერთმა გავლენიანმა და ძლიერმა ფინანსურმა ინსტიტუტმა IFC-მ (საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ), რომლის წევრი საქართველო აგერ უკვე თითქმის ოცი წელია, ჩვენს ქვეყანაში 600 მილიონ დოლარზე მეტი ოდენობის ინვესტიცია განახორციელა, რომლის დიდი ნაწილი რეგიონალური პროექტების განხორციელებას მოხმარდა, ამასთან მისი სპეციალისტები კერძო სექტორთანაც აქტიურად თანამშრომლობენ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, თავის მხრივ, მსოფლიო ფინანსური სამყაროს ისეთი გიგანტის ჯგუფის წევრია, როგორიცაა მსოფლიო ბანკი. მისი მოღვაწეობის არსი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მეშვეობით მის წარმომადგენლებზე სესხების გაცემის გზით. მიზანი, თავისთავად, კეთილშობილია — ახალი საქმის წამოწყებას, გნებავთ, ძველის გაფართოებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ ზრდასა და სხვა ბევრ სიკეთეს ნიშნავს. თუმცა კი, რომ იტყვიან, „ფარდის მიღმა“ მაინც კრედიტის სიძვირე რჩება ხოლმე.

უახლოეს მომავალში საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ფინკა საქართველოს“ 4 მილიონი დოლარის სესხს გამოუყოფს, რომლის მიზნობრივი დანიშნულება სოფლად მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ფინანსური სახსრების მიწოდება იქნება. გრძელვადიანი ინვესტიციის დადებითი მხარე ისიცაა, რომ მცირე ბიზნესმენებს მაღალი ხარისხის უფრო მეტი ფინანსური პროდუქტი მიეწოდებათ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „ფინკა საქართველო“ ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე 15 წელია, მოღვაწეობს, მას დაახლოებით 45 ათასი კლიენტი ჰყავს თითქმის ყველა მხარეში. ახალი საკრედიტო ხაზის გახსნა, იმედია, საფინანსო ბაზარზე მის პოზიციებს კიდევ უფრო მყარს გახდის, თუმცა კი, როგორც ზემოთ ითქვა, სესხები ძვირი არ უნდა იყოს, მით უმეტეს მცირე მეწარმეთათვის, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ისინი დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ცხოვრების დონის ამაღლებაზეა ორიენტირებული, როგორც ამას კორპორაციის წარმომადგენლები აცხადებენ.

ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ზაზა სატიაშვილი:

მირჩევნია, ბოროტები იყვნენ პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორიც, ოღონდ კანონი იყოს კეთილი

ადვოკატები საკუთარი უფლებებისთვის იბრძვიან

რამ გაანაწყენა ადვოკატთა კორპუსი, რატომ მიიჩნევენ, რომ უფლებადამცველთა ღირსებას სათანადოდ ვერ უფრთხილდება ახალი ხელისუფლება, რატომ თამაშობს ქვეყანა ორმაგი წესით, ან შენდება თუ არა სამართლიანი სახელმწიფო იმის პარალელურად, რომ ჯერჯერობით ეკონომიკური აღმავლობა თვალსაჩინო არ არის? – ამ საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა სატიაშვილი.

– ბატონო ზაზა, რამდენიმე დღის წინათ ჩამოხვედით სტრასბურგიდან. რა მისიით იმყოფებოდით იქ და როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით?

– სტრასბურგში ჩემი შეხვედრების მიზანი იყო საქართველოში ადვოკატთა უფლებების დარღვევა. თავიდან, ახალი ხელისუფლების მოსვლიდან 3-4 თვე ველოდით, თუ რა ფორმით განვითარდებოდა მოვლენები, როცა ვნახეთ, რომ ადვოკატთა უფლებების დასაცავად არაფერი კეთდებოდა, ბუნებრივია, კრიტიკა დავიწყეთ.

– რაში გამოიხატება ადვოკატთა უფლებების დარღვევა?

– ევროპის კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. მაგრამ სამართლიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მხარეთა თანასწორობა: როგორც პროკურორის, ისე ადვოკატისა. ორივენი თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში ადვოკატს უფლება არა აქვს, მოიპოვოს მტკიცებულებები. მეტიც, ადვოკატი მოკლებულია საშუალებას, მიმართოს საჯარო დაწესებულებას და მიიღოს ინფორმაცია როცა კანონში წერია, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს ინფორმაცია პროკურატურის მოთხოვნაზე. ადვოკატთან მიმართებაში კი ასეთი ვალდებულება არ არსებობს. ელემენტარულ ოფიციალურ დოკუმენტს ვერ მოიპოვებს ადვოკატი...

– ამის გამო ჩიოდით ძველი ხელისუფლების დროსაც...

– დიახ, იმიტომ რომ ასეთი კანონი მიიღეს სააკაშვილის რეჟიმის პირობებში. მაშინ ამის გამო მივმართე მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციას, ევროპის ადვოკატთა ასოციაციასა და ასევე ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიას. მათ დასკვნა გააკეთეს, პროკურორების უფლება განუზომლად დიდია ადვოკატების უფლებებთან დაკავშირებით და ეს უნდა გამოსწორდესო. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ერთ თვეში საქართველოში ჩამოვიდა მსოფლიო ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია და იუსტიციის სამინისტრომ ვალდებულება აიღო, რომ ეს გამოსწორდებოდა. თეა წულუკიანი მართლაც შევიდა პარლამენტში ცვლილებათა მოთხოვნით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებათა პაკეტის მიხედვით უნდა გაზრდილიყო ადვოკატთა უფლებები. ეს მინიმალური ცვლილებაც კი არ დაუშვა ხელისუფლებამ. ჩაერია შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და პარლამენტმა შემოსულ ცვლილებათა პაკეტი დაბლოკა.

– თქვენი აზრით, რატომ დაბლოკა პარლამენტმა ან რატომ ჩაერია შინაგან საქმეთა მინისტრი?

– ვინაიდან საქართველოში ახლა ბიძინომანიაა. ის ქმნის პოლიციურ სახელმწიფოს. თანაც, ჩემი აზრით, იმისთვის არ ქმნის, რომ რამდენიმე თვეში წავიდეს.

ძალიან ბევრი მსაყვედურობს იმის გამო, რომ ახალ ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, ზოგიერთი ნათესავი ხმას არ მცემს. ვადროვოთო. 5-6 თვე ხმა არ ამომიღია, მაგრამ რას უნდა ველოდოთ? სააკაშვილის რეჟიმს იმიტომ კი არ ვებრძოდი, რომ პიროვნულად არ მომწონდა ის, ან მერაბიშვილი, ან ადეიშვილი. ვებრძოდი სისტემის უმსგავსობასა და დანაშაულებს, როცა ვხედავდი, რომ არღვევდნენ მოქალაქეთა უფლებებს. არც ახლა მაქვს ვინმეს მიმართ პიროვნული შეღლი. მე თუ დღეს თვალს დავხუჭავ ადამიანის უფლებების დარღვევაზე, ხომ გამოვა, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებული უფლებადამცველი ვარ?! აი, ეს არის ჩემი პროტესტი და ძალიან მწყინს, როდესაც ამას სამოქალაქო საზოგადოება არასწორად იგებს.

– ბატონო ზაზა, ხელისუფლება ყოველდღიურად გვარწმუნებს იმაში, რომ ამ სახელმწიფოში მოქალაქეთა უფლებები დაცულია. თქვენ სად აღმოაჩინეთ ადამიანთა უფლებების დარღვევა?

– დღეს პოლიციის დაწესებულებებში გახშირებულია უკანონო დაკავება, არაჰუმანური მოპყრობა, ადამიანების ცემა და ა. შ. ამან უკვე სისტემური ხასიათი მიიღო. ქვეყანა ამ კუთხით უკან წავიდა. წინა ხელისუფლების დროს პოლიციაში არაადამიანური მოპყრობის ასეთი გახშირებული ფაქტები არ იყო, ძირითადად ასეთი რამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხდებოდა. პოლიცია ამისაგან მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყო, ახლა კი პირიქით, ამ უბედურებებმა პოლიციის განყოფილებაში გადაინაცვლეს.

ასე ქვეყანა წინ ვერ წავა, არ შეიძლება. არ შეიძლება მივიღოთ სამართლიანი სასამართლო, თუკი არ იქნება მხარეთა თანასწორობა. სასამართლო იუსტიციის საბჭოს მოსამართლეთა შერჩევა არ არის. მთავარია, სასამართლო პროცესზე პროკურორმაც და ადვოკატმაც თანაბარ პირობებში შეძლონ მოწმეების დაკითხვა. დაცვამაც და ბრალმდებელმაც უნდა შეძლონ მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოსთვის წარდგენა. თუ ადამიანი ხელ-ფეხშეკრულია, რინგზე რანაირად მოუგებს მეტოქეს? სამართლიანი სასამართლო ჩიხშია.

– ეს ყველაფერი მოუყევით კოლეგებს სტრასბურგში?

– რა თქმა უნდა. იცით რა ვუთხარი? ივანიშვილმა მოგატყუათ, როცა სამართლიანი სასამართლოს პირობა დადო-მეთქი, რატომ მოგვატყუაო? სამართლიანი სასამართლო როგორ გვექნება, როცა ადვოკატთა უფლებები პარლამენტმა დაბლოკა-მეთქი? გაკვირვებულები დარჩნენ. უსუფაშვილი გულზე მჯიღს ირტყამს ბრიუსელში, სამართლიანი სასამართლო გვინდაო. არადა სწორედ მან დაბლოკა პირველი მოსმენით მიღებული სასიკეთო ცვლილებები. არავინ არ იცოდა ევროკავშირში, ევროსაბჭოში, რომ სწორედ ახალმა ხელისუფლებამ დაბლოკა ცვლილებათა პაკეტი.

მათ იცოდნენ ჩემი ღია წერილის შესახებ, რომელიც ბიძინა ივანიშვილს მივწერე, თუმცა, ელოდნენ, რომ რეაგირება უკვე იქნებოდა. როცა მე რაღაცას ვამბობ დასავლეთში, ისე კი არ უყურებენ როგორც რიგითი ადამიანის ნათქვამს, პირიქით, მე ვარ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, უფლებადამცველი, რომლის სიტყვასაც წონა აქვს და ენდობიან.

სააკაშვილი ვინ იყო, რა იყო და რას აკეთებდა, ვიცით. ახალი ხელისუფლება იმიტომ ავირჩიეთ, რომ ეს გამოასწოროს, და არა იმიტომ, რომ სერიალები აკეთოს. სერიალების მეტი რა გვინახავს. დავიღალეთ. იმავე მეთოდით ხომ არ უნდა მართონ ქვეყანა, როგორც ნაციონალები მართავდნენ. დაეცა „ქართული ოცნების“ რეიტინგი, გამოაჩინეს სერიალები. ახლა კიდევ აქვთ შემონახული უფრო მძიმე კადრები, რომელსაც ოქტომბრის არჩევნების წინ გამოაჩენენ.

აქ ჩამოვლენ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი, ევროსაბჭოს ყველა თანამდებობის პირი და ისინი ადგილზე გაეცნობიან ვითარებას, იოსებ ბარათაშვილი ერთ-ერთი წარმატებული ადვოკატია საქართველოს უახლეს ისტორიაში. მის სახელთან არის დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო ცვლილებები. ის არის უსპეტაკესი პროფესიონალი, რომელიც ამ ხელისუფლებისგან დევნილი გახდა. მექანიზატორების საქმეზე ერთ-ერთმა პირმა, ვისაც სოსო იცავდა, აცილება დაწერა და სახაზინო ადვოკატი მოითხოვა. თან კვირას დაუწერია განცხადება და ორშაბათს დილის 11 საათზე მთავარ პროკურორთან იდო ეს განცხადება. ხვდებით რა სტანდარტებთან გვაქვს საქმე?! ასეთი ფაქტები კიდევ ბევრია. ადვოკატთა ცემაზე, წამებაზე, მუქარაზე, დაშინებაზე წერილი მივწერე ნოემბერში პროკურატურას. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმაც მოიწერა, გამოიძიეთ და მაცნობეთო, ჯერ პასუხი არ მიმიღია.

ჩემი მოთხოვნით სექტემბერში ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საბჭოს სხდომაზე სტრასბურგში პირველ საკითხად იქნება გატანილი ქართველი ადვოკატების დევნა.

მეგონა, რომ სააკაშვილის რეჟიმს პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთად ვებრძოდით. აღმოჩნდა, რომ ამ ხალხს თურმე ხელისუფლების შეცვლა და სკამებზე მოკალათება უნდოდა. მე არ გავჩერდები, გამორიცხულია! ყოველღიური ინფორმაცია მაქვს, სად რა ხდება სამართალდამცავ სტრუქტურებში, ვინ დაჩაგრეს, ვის წამოარტყეს, ვის გირაოდ ათასები შეუფარდეს... სააკაშვილი ხალხს ეზიზღება, ის არის სამოქალაქო საზოგადოების მტერი, მაგრამ მალე წავა, თქვენ კი ჩვენ ნათქვამს გაისად აპრილ-მაისში გაიხსენებთ, როცა პასუხისმგებლობა აბსოლუტურად ახალი ხელისუფლების ხელში იქნება და უკმაყოფილებაც თავს არ დამალავს.

– რას იტყვით ბოლო დროს მომრავლებულ კადრებზე, ის ხომ წინა ხელისუფლების სახეა?

– თქვენ გახსოვთ დაახლოებით ორი წლის წინათ რომ გავახმაურე მალხაზ არქანიას გაუპატიურების საქმე. ვინმე დამიდგა გვერდში, ვინმემ ხმაური ატეხა?! ეს სამალავები, წამებისა და გაუპატიურების ამსახველი კადრები მეტ-ნაკლებად ყველამ იცოდა. იმიტომაც გაისტუმრეს ის რეჟიმი. ახალი რა არის ამაში, ამით რა უნდა, რომ თქვას ხელისუფლებამ?!

დეკემბერში ძმებ სოზაშვილებზე მოხდა თავდასხმა პოლიციელების მხრიდან. შუქნიშანთან მანქანა გააჩერებინეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულებმა. გადმოიყვანეს, ცემეს. ძმებს თავდამსხმელები ეგონათ და წინააღმდეგობა გაუწიეს. პოლიციელები ამტკიცებენ, ფორმა გვეცვაო. ადვოკატმა ვერ მიაღწია იმას, რომ ფირი ამოიღოს და სიმართლე დაამტკიცოს. პოლიციის მხრიდან ძალადობა ღარიბაშვილის პოლიციის სავიზიტო ბარათად იქცა. პროკურატურა გააძლიერეს, ადვოკატების უფლებები კი შეკვეცეს, ანუ რისკენ მივდივართ, პოლიციური სახელმწიფოსაკენ? ბიძინა ივანიშვილმა ეს ყველაფერი იცის და გაჩუმებულია.

– კი მაგრამ, ივანიშვილი ხომ ვერ შეძლებს ჩაიხედოს კანონების ყველა ნიუანსში, მართოს ყველა სტრუქტურა. ამისთვის არსებობს გუნდი, რომელიც შეცდომებს უშვებს ან არა...

– მაშინ რატომ ზის მერაბიშვილი ციხეში, მას ხომ პირადად არავინ მოუკლავს, ან სააკაშვილი ვინმეს უნახავს იარაღით ხელში?! მაგრამ ისინი მართავდნენ პროცესებს. ჩინეთის ერთ პროვინციაში ცხოვრობს 3,5 მილიონი კაცი და სულაც არ ჰყავთ იქ პრემიერ-მინისტრი, ამდენი პროკურორი ან 42 ათასი პოლიციელი. არ უნდა იცოდეს პრემიერმა, რომ 157 ადვოკატი ციხეში იჯდა?! არ იყო მართალი, როცა კუბლაშვილს უთხრა, სასამართლო რეფორმა შენ უნდა ჩაატარო, ისეთი ბიოგრაფია გაქვსო.

– არასოდეს შეხვედრია პრემიერ-მინისტრი ადვოკატთა კორპუსს?

– არა. პოლიციელის დღე არ ავიწყდება, არც პროკურატურის, მაგრამ არ გახსენებია ადვოკატთა დაცვის დღე.

სააკაშვილი ვინ იყო, რა იყო და რას აკეთებდა, ვიცით. ახალი ხელისუფლება იმიტომ ავირჩიეთ, რომ ეს გამოასწოროს, და არა იმიტომ, რომ სერიალები აკეთოს. სერიალების მეტი რა გვინახავს. დავიღალეთ. იმავე მეთოდით ხომ არ უნდა მართონ ქვეყანა, როგორც ნაციონალები მართავდნენ. დაეცა „ქართული ოცნების“ რეიტინგი, გამოაჩინეს სერიალები. ახლა კიდევ აქვთ შემონახული უფრო მძიმე კადრები, რომელსაც ოქტომბრის არჩევნების წინ გამოაჩენენ.

– ვარაუდობთ, თუ დადასტურებულად იცით?

– ვიცი. იმ კადრებში ჩანს, როგორ აუპატიურებენ პატიმართა ცოლებს და როგორ აყურებინებენ ამ კადრებს ბრალდებულებს. აღიარებითი ჩვენების მისაღებად და დასაშანტაჟებლად.

ასე რომ, ძალიან ცუდია, როცა არასამართლიანი სახელმწიფოს შენებისკენ ავიღეთ გეზი. მე ძალიან მიკვირს იმ დეპუტატებისა, რომლებიც თავგამოდებული ადამიანის უფლებათა დამცველები იყვნენ. ვერ გეტყვით, რა მოუვიდა ზაქარია ქუცნაშვილს, მანანა კობახიძეს, ყველაზე მეტად დაგვიპირისპირდა შალვა შავგულიძე. გაოცებული ვარ... ვუთხარი კიდეც, შალვა, რომ იყავი ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში, ეს ცვლილებები შენ არ შეიმუშავე, ახლა რაღა მოგივიდა-მეთქი?! ორი წლის წინათ სხვაგვარად ფიქრობდი-მეთქი?!

– მიზეზი რა არის, თქვენი აზრით, რა საფრთხეს ხედავენ ისინი ადვოკატთა უფლებების გაზრდაში?

– მიზეზი, როგორც ვთქვი, პოლიციური სახელმწიფოს შენების სურვილია, შერჩევითი სამართლის ქვეყანაში დამკვიდრება. აი, ძმები სოზაშვილების საქმე ამ ხელისუფლების ტესტი იქნება. თუ აღმოჩნდება, რომ ფორმა არ ეცვათ პოლიციელებს, ეს ბიჭები გამართლდებიან. ჯიუტად არ ხსნიან სათვალთვალო კამერას და პოლიციელის ღირსებას იცავენ. არადა, ეს პოლიციელები უნდა დავსვათ საბრალდებო სკამზე. ღარიბაშვილი კი, პირიქით, ცდილობს, წაახალისოს პოლიციელთა ძალადობა.

მე მირჩევნია ბოროტი იყოს შინაგან საქმეთა მინისტრი, პრემიერი, მთავარი პროკურორიც, ოღონდ კანონი იყოს კეთილი... ყველაფერს ეშველება. კანონი მათ ბოროტებას გააუვნებელყოფს. ამიტომ იმისთვის ვიბრძვი, რომ შეკვეცნათ დახვეწილი, გამართული კანონმდებლობა.

– რა ემუქრებათ იმ ძველ საქმეებს, რომლებიც სამართლიან ვერდიქტს ელოდებიან ახალი მოსამართლეების პირობებში?

– ამ საქმეებს გამოიძიებენ, ეს უკვე პოლიტიკაა, ამიტომ ვამბობ, გვაქვს შერჩევითი სამართალი-მეთქი. ყველა სტრუქტურას გაუზარდეს უფლება-მოსილებები, მაგრამ ადვოკატთა კორპუსს მნიშვნელოვნად რომ დაარტყეს, აი, ფაქტი ეს არის!

ესაუბრა
თეა მოსია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პარლამენტარის ტრიბუნა

დემურ ბაშელეიშვილი:

დრო არ ითმენს, დრო, რომელიც უკვე დავკარგეთ და რომელშიც ვერ შესრულდა ამომრჩევლის ძირითადი ნაწილის დაკვეთა, სადაც საგანმანათლებლო სისტემაში წესრიგის დამყარება განსაკუთრებული მოთხოვნაა

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქართული საგანმანათლებლო სისტემა მრავალთა საჯილდაო ქვა გამხდარა და არავის დაუკლია ძალა და უნარი, დაენარცხებინა, მიწასთან გაესწორებინა და გაენადგურებინა იგი. ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ამ სისტემის ჰარმონიული შენაერთია, როგორც გვირგვინი ახალგაზრდული გარჯილობისა, ყველას თვალწინ სულსა ღაფავდა და საბოლოო დასამარებისთვის იყო განწირული. ხელისუფლების მიერ დანიშნული, მაგრამ ფორმალურად ვითომდა არჩეული რექტორები ერთპიროვნულად, პატრონის პოლიტიკური შეფერილობის დარად მართავდნენ სასწავლებელს. ზოგმა აულაგმავმა უმაღლესი სკოლა საკუთარ კოოპერატივად გადააქცია, გაანიავა მისი ქონება, დაითხოვა ღირსაცნობი პროფესორები და დააკნინა სასწავლებლის ღირსება.

სწორედ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილი მძიმე მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებითაა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საკანონმდებლო ინიციატივით გვთავაზობს მნიშვნელოვან ცვლილებებს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“, რამაც, არცთუ უსაფუძვლოდ, გამოიწვია ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა, თვით საპარლამენტო უმრავლესობაშიც კი. განსაკუთრებით იმ უნივერსიტეტების წარმომადგენლები აქოთქოთდნენ, რომელთა გვერდის ავლითაც შემუშავდა კანონპროექტი, თანაც, გაღიზიანების ხარისხი იმან უფრო ასწია, რომ ავტორები კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვენ. არადა, აჩქარება ნამდვილად საჭიროა, დრო არ ითმენს, დრო, რომელიც უკვე დავკარგეთ და რომელშიც ვერ შესრულდა ამომრჩევლის ძირითადი ნაწილის დაკვეთა, სადაც საგანმანათლებლო სისტემაში წესრიგის დამყარება განსაკუთრებული მოთხოვნაა.

განა მოსათმენი იყო, როცა სტუდენტი დოქტორანტი ამავდროულად დეკანიც გახლდათ? განა მისაღები იყო სტუდენტთა გაპროფესორება? განა სირცხვილი არ იყო, რომ უნივერსიტეტს აკადემიური ხარისხის უქონელი, ანუ უხარისხო რექტორი მართავდა? ჩემთვის გაუგებარია – რატომ უნდა ედგას სათავეში უმაღლეს სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას დღემდე დამკვიდრებული ე.წ. მენეჯერი? გასაგებია, უცხოური „მენეჯერი“ მმართველს რომ ნიშნავს, მაგრამ ასეთი კაცი გამოადგებოდა დიდ საწარმოს ან აგრარულ კოოპერატივს, მაგრამ არა საგანმანათლებლო დაწესებულებას. უმაღლეს სკოლას მხოლოდ უნარიანი მმართველი არ ეყოფა, ის ხომ აუცილებლად უნდა იყოს აკადემიური ხარისხისა და წოდების მქონე მეცნიერი, რადგან იგი, უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიურ სივრცესაც ხელმძღვანელობს. ამ მოთხოვნის მოწინააღმდეგეები ხშირად მოიხმობენ ხოლმე დიდი ივანე ჯავახიშვილის მაგალითს – მასაც ხომ არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხიო! ვფიქრობ, ეს სარწმუნო მაგალითად ვერ გამოდგება, გნებავთ, როგორც გამონაკლისი, რადგან ასეთ შემთხვევაში რექტორობის კანდიდატი, სულ ცოტა, ივანე ჯავახიშვილი უნდა იყოს.

აღარ შეგახსენებთ იმ ღირსაცნობ მეცნიერთა სახელებს, რომლებიც სხვადასხვა დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდნენ, იმას კი გეტყვით, რომ მათი მსგავსი ე.წ. მენეჯერები უნივერსიტეტებს არასდროს ჰყოლიათ.

რაც შეეხება დეკანისა და პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე მაგისტრთა და დოქტორანტების დანიშვნას – ესეც არანორმალური მოვლენაა, რაც აკნინებს ამ დაწესებულების ღირსებასა და ავტორიტეტს, მით უმეტეს, რომ საქართველოში არ გვიჭირს კვალიფიციური და გამოცდილი მეცნიერი პედაგოგების გამოძებნა. კარგია, რომ ახალი კანონპროექტი ასწორებს მოქმედი კანონის უკანონობას. ცოტა ხნის წინათ, სტუდენტებთან შეხვედრისას, პათეტიკურად გაცხადდა, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომი უფრო ღირებულია, ვიდრე კრასნოიარსკის უნივერსიტეტში ხუთ ბოთლ კონიაკად მიღებული მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი. ნურას უკაცრავად, მაგისტრის დიპლომი, მას ვისკის სუნი დაჰკრავს თუ კონიაკის, ვერასდროს გაუტოლდება დოქტორის, გნებავთ, გაჟიჟინებულ დიპლომს. მაგისტრის დიპლომი, ფერისა და სუნის მიუხედავად, ვერ იქნება ქართული უმაღლესი სკოლის აკადემიურ სივრცეზე მმართველობის მოსაპოვებელი საშუალება – ახალი კანონპროექტი კრძალავს დოქტორანტებისა და მაგისტრების პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობას. ეს კი დამცირებულ პროფესორებსა და დაკნინებულ უმაღლეს სასწავლებლებს ღირსებას დაუბრუნებს.

ახლა კვლავ კანონპროექტის შესახებ, რომლის თანახმადაც უმაღლეს სასწავლებლებში შემოდის ასისტენტის აკადემიური თანამდებობა. ამისდა გამო, მიზანშეწონილად მიმაჩნია, აკადემიურ თანამდებობათა ნუსხიდან ამოვიღოთ „ასისტენტ-პროფესორის“ თანამდებობა – რამეთუ, იგი ასეთ კლასიფიკაციაში უკვე ზედმეტია. კარგია, რომ „სრული პროფესორის“ ნაცვლად, კანონპროექტის ავტორებს შემოაქვთ ახალი დეფინიცია „პროფესორი“, ეს საზოგადოებაში ბევრ გაუგებრობას მოხსნის.

რაც შეეხება შემოთავაზებულ კანონპროექტში ყველაზე საკამათო და საჭოჭმანო ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი – ნამდვილად არის განსჯის საგანი. მოქმედი კანონის თანახმად, ეს ფუნქცია პრეზიდენტს აკისრია. რა გამოდის – ერთი უმაღლესი თანამდებობის პირს ჩაანაცვლებს მეორე. განა უმაღლესი სასწავლებლებისთვის ან ზოგადად, საზოგადოებისთვის აქვს მნიშვნელობა უმაღლესი თანამდებობის რომელი პირი დანიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს? თქვენ წარმოიდგინეთ და, აქვს, ნამდვილად აქვს!

უნივერსიტეტი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა და მისი მმართველი უნდა იყოს კოლეგიური პრინციპით დაკომპლექტებული აკადემიური საბჭო, რომლის თავმჯდომარეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. დღევანდელი კანონით როგორაა? აკადემიური ხარისხი არ არის აუცილებელი, მაგრამ უნდა იყოს ე.წ. მენეჯერი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი. კანონპროექტით კი პრემიერ-მინისტრი მხოლოდ აკადემიური ხარისხის მქონე პირს ნიშნავს – ეს უკვე უკეთესია, მაგრამ არც ესაა საუკეთესო ვარიანტი. კარგია, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევდეს უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭო, მაგრამ როგორი საბჭოებია დღევანდელ უნივერსიტეტებში? ვინ და რა წესით აირჩია ისინი? აკადემიური საბჭოების შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობა ყავლგასული ხელისუფლების პოლიტიკურად შეფერადებული აპოლოგეტია. ფორმალურად გაყალბების შედეგად მოსული აკადემიური საბჭოების მიერ დანიშნული თუ არჩეული არც რექტორი და არც მოვალეობის შემსრულებელი ვერ იქნება ლეგიტიმური. ამიტომაც ამ მძიმე მდგომარეობიდან თავდაღწევად დღეს უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი უნდა დანიშნოს პრემიერ-მინისტრმა. თუმცა, კანონპროექტთან დაკავშირებით მაქვს ორიოდე შენიშვნა და დამატება:

პრემიერ-მინისტრისთვის მინიჭებული უფლება – მან თანამდებობაზე დანიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საზოგადოებაში ეჭვს რომ არ იწვევდეს, თითქოსდა იგი რექტორობისთვის შემზადებული პიროვნებაა, ამავე კანონპროექტში მას ეწოდოს „დროებითი მმართველი – რექტორის მოვალეობის შესმრულებელი“ და აეკრძალოს მონაწილეობის მიღება რექტორის არჩევნებში. ხოლო, თუ იგი ამას დაეპირება, უარი თქვას რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. სწორედ ეს იქნება გარანტია უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, რაც არცთუ უსაფუძვლოდ აღელვებს საზოგადოებას, რომელსაც აქვს მწარე გამოცდილება, როცა პრეზიდენტის მიერ დანიშნული რექტორის მოვალეობის შემსრულებლები, ფორმალური და გაყალბებული არჩევნების შედეგად, რექტორები ხდებოდნენ.

აქედან გამომდინარე, სხდომას ვთავაზობ კენჭი უყაროს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ[8]“ ქვეპუნქტს შემდეგი რედაქციით:

„პ[8]“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს უმაღლესი სასწავლებლის დროებით მმართველის – რექტორის მოვალეობის შესმრულებლის კანდიდატურას, რომელიც შეიძლება დაინიშნოს არაუმეტეს ექვსი თვის ვადით“.

ამავე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ[9]“ ქვეპუნქტი:

„პ[9]“) პრემიერ-მინისტრის განკარგულებით დანიშნული უმაღლესი სასწავლებლის დროებითი მმართველი – რექტორის მოვალეობის შემსრულებელი არ მონაწილეობს ამავე უმაღლესი სასწავლებლის რექტორის არჩევნებში, რომელიც აკადემიურ საბჭოსთან ერთად, მის მიერაა მომზადებული“.

ამ ქვეპუნქტის შემოტანა პრემიერ-მინისტრს ააცილებს იმ უხერხულობას, რომელსაც ქმნის მის მიერ უმაღლესი სასწავლებლის დროებითი მმართველის – რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა.

ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემისას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა, ხსენებული კანონპროექტის განხილვისას განაცხადა, რომ არგუმენტირებული დასაბუთების გარეშე შენიშვნებს არ მივიღებთო. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასეთი პრეტენზიული განცხადებაც, მაგრამ ავტორთა მიერ სწორედ არგუმენტების სიმწირის გამო იქცა კანონპროექტის ეს ქვეპუნქტი ოპონენტთა საჯილდაო ქვად. მათ ვერ მოახერხეს დამაჯერებლად აეხსნათ, მაინცდამაინც პრემიერმა რატომ უნდა დანიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ცნობილია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შემოდგომაზე კვლავ აპირებს ახალი კანონპროექტის განსახილველად შემოტანას, ალბათ, ამიტომაცაა ხარვეზიანი დღეს შემოთავაზებული და დაჩქარებული წესით განსახილველი კანონპროექტი. თუმცა, იგი ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას ხსნის და დროებით მმართველს საშუალებას მისცემს შექმნას პირობები რექტორის თავისუფალი არჩევნებისთვის, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორთა მთელმა შემადგენლობამ უნდა აირჩიოს.

26 ივნისი, 2013 წ.

◎ ალიან-ჩალიანი

მუშავდება საემიგრაციო პოლიტიკა

საქართველოში მიმდინარეობს საემიგრაციო პოლიტიკის შემუშავება, – ასეთი კომენტარი გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ პირველი ივლისიდან ირანთან სავიზო რეჟიმი მკაცრდება.

მინისტრის ინფორმაციით, საქართველოში აქამდე საემიგრაციო პოლიტიკა არ არსებობდა. მისივე თქმით, ძალიან მალე მთავრობა პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს „უცხოელი მოქალაქეების საქართველოში გადაადგილებისა და ყოფნის შესახებ“.

– ამ ცვლილებების პაკეტში შეიძლება გადაიხედოს და მოწესრიგდეს ზოგიერთ ქვეყანასთან სავიზო რეჟიმები. საქართველოს დაახლოებით 120-მდე ქვეყანასთან ჰქონდა უვიზო, ცალმხრივად გაუქმებული რეჟიმი, აქ იქნება ცვლილებები, მაგრამ ეს ცვლილებები არ შეეხება ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებს და კიდევ რამდენიმე ქვეყანას. ასე რომ, მიმდინარეობს მოწესრიგება საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკისა, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

1 ივლისიდან სოციალური დახმარება იზრდება

ჯანდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, 1 ივლისიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სოციალური დახმარება ორმაგდება. კერძოდ, ოჯახის პირველ წევრზე 30 ლარის ნაცვლად 60 ლარი იქნება, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე 24 ლარის ნაცვლად 48 ლარი. გაორმაგებულ სოციალურ დახმარებას 144 000 ოჯახი მიიღებს.

ამასთან, 1 ივლისიდან ასევე ფართოვდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, კერძოდ, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და ექიმის კონსულტაციებს, გეგმიური სამედიცინო დახმარება დაემატება. ასევე უფასო იქნება ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები. მინისტრის თქმით, გეგმიური ოპერაციების ფართო სპექტრი დაფინანსდება წლიური ლიმიტით 15 000 ლარი და დაფინანსება იქნება 70% , ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის წლიური ლიმიტი 12 000 იქნება და დაფინანსდება 80%-ით. ორსულთა პატრონაჟი და მშობიარობა, ფიზიოლოგიური – 500 ლარით, საკეისრო კვეთა - 800 ლარით დაფინანსდება.

ამ დახმარებებს მიიღებენ ის პირები, რომელთაც 28 თებერვლამდე არ გააჩნდათ არანაირი დაზღვევა. ასევე ის პირები, რომლებსაც 1 ივლისიდან სხვადასხვა მიზეზების გამო სამედიცინო დაზღვევა შეუწყდებათ. ის პირები, რომლებიც კერძო დაზღვევაში აღარ იქნებიან სხვადასხვა მიზეზების გამო, 1 ივლისის შემდეგ, მიიღებენ მხოლოდ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და ექიმის უფასო კონსულტაციებს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობის 100% მინიმალური საბაზისო პაკეტით იქნება უზრუნველყოფილი.

სახელმწიფო დაზღვევაში, 28 თებერვლიდან დღემდე, პროგრამაში დარეგისტრირდა 1 347 000-ზე მეტი ადამიანი, მათგან ამბულატორიული მომსახურება 41 000-ზე მეტმა მიიღო, ხოლო გადაუდებელი სტაციონალური 15 000-ზე მეტმა. სულ ამ მიზნით 6 361 000 ლარი დაიხარჯა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კიდევ ერთხელ პროფესიული განათლების შესახებ

კანონი სერიოზულად გადასამუშავებელია

ჯერ კიდევ 2012 წლის ოქტომბერში მიმართა განათლების სამინისტროს აუცილებელ ღონისძიებათა ჩამონათვალით პროფესიული განათლების კავშირმა, რომლის გატარების შემთხვევაშიც, მათი ხედვით, პროფესიული განათლების სისტემა აღორძინდებოდა და განვითარდებოდა.

საკმაოდ დიდ ჩამონათვალში ერთ-ერთ პირველ აუცილებელ საჭიროებად მიჩნეული იყო და დღესაც მიჩნეულია, „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის სერიოზულად გადამუშავება და დახვეწა.

2013 წლის თებერვალში მეორე წერილი გაიგზავნა იმავე მისამართით. ასობუთებდნენ პროფესიული კოლეჯებისათვის ავტორიზაციის ახალი ვადის შემოღების საჭიროებას და სამინისტროსა და პარლამენტს სთავაზობდნენ კონკრეტულ ცვლილებებს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“. მოგვიანებით წამოაყენეს წინადადება, პროფესიული განათლების ეროვნული **საბჭოს ფორმატში შექმნილიყო დამატებითი თემატური ჯგუფი, რომელიც სოციალური პარტნიორების მონაწილეობით იმუშავებდა კანონმდებლობის დახვეწაზე.**

მიუხედავად ყველაფრისა, მაისში სამინისტროს აპარატში ისე შემუშავდა კანონპროექტი „პროფესიული განათლების კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომ მისი სრული ტექსტი მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც ის მთავრობამ განიხილა და პარლამენტმა 3 ივნისს ბიუროზე განხილვის შემდეგ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს გადასცა დაჩქარებული წესით განხილვისათვის და პლენარულ სხდომაზე გამოსატანად.

მხოლოდ 2013 წლის 7 ივნისს განიხილეს ეს კანონპროექტი ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე.

ხანგრძლივი დებატების შედეგად დამსწრეთა უმრავლესობამ არ მოიწონა შემოთავაზებული წინადადება ერთიანი ეროვნული პროფესიული გამოცდების შემოღების თაობაზე. საბოლოო ჯამში ითქვა, რომ ეს არის ნაჩქარევი სიახლე, ასეთი გამოცდები არ ტარდება მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, მისი ჩატარების შემთხვევაში დაიხარჯება დიდძალი საბიუჯეტო თანხები, არანაირი შედეგი კი არ იქნება, ვინაიდან საკითხის გამომტანების განმარტებით, ჩააბარებს თუ არა ტესტებს კოლეჯში სწავლის მსურველი, ის ყველა შემთხვევაში მაინც ჩაირიცხება შერჩეულ სპეციალობაზე.

ნახსენები იყო, რომ შეიცვლება აგრეთვე სწავლის მსურველთა რეგისტრაციის წესი, ჩატარდება მათი ერთიანი ელექტრონული რეგისტრაცია, რაც იქნება კიდევ ერთი შემაფერხებელი მომენტი, ვინაიდან საქართველოს რეგიონებში, მის მრავალ სოფელსა და ქალაქში ყველა ოჯახს როდი აქვს კომპიუტერი და ინტერნეტი, რის გამოც სწავლის მსურველები ვერ გაივლიან რეგისტრაციას. **მიიჩნევენ, რომ საბიუჯეტო დაფინანსება უნდა შეეხოს მხოლოდ საბიუჯეტო პროფესიულ კოლეჯებს.**

დღეისათვის გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწევა იმ ახალ დასაფუძნებელ პროფესიულ კოლეჯებს, რომელთა საჭიროების დასადგენად პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შემდგარი იყო სპეციალური კომისია და 3-თვიანი მუშაობის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები 20 პროფესიული კოლეჯის დაფუძნების თაობაზე.

ამავე საკითხზე სპიკერს მიმართეს შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატებმა, მათ შორის პარლამენტის ვიცე-სპიკერებმა ზ. ძიძიგურმა, მ. დუმბაძემ, მ. კობახიძემ, კომიტეტის თავმჯდომარეებმა დ. ხუნდაძემ, დ. ონოფრიშვილმა, ლ. ხაბელოვმა, ე. ტრიპოლსკიმ, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ე. ჩაფიძემ, გ. ფოფხაძემ, დეპუტატებმა ს. მკოიანმა, კ. ნაყოფიამ, ვ. გელაშვილმა, გ. ქავთარაძემ, თ. ჭკუასელმა, ვ. კოპალიანმა, უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ზ. ქუცნაშვილმა და ა. შ.

საქართველოს პარლამენტში 11 ივნისს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვის დროს პარლამენტის წევრებმა მიიღეს ყოვლად გაუგებარი პასუხები, რომ კოლეჯების დაფუძნება არ არის გათვალისწინებული 2014 წლის აპრილამდე და რომ კოლეჯების დაფუძნების პროცესი და იქ სწავლის დაწყებას გადაწყვეტს მინისტრი ეტაპობრივად 3-5 წლის განმავლობაში. მიზეზად გამოცხადდა სათანადო თანხების არარსებობა და სურვილი, რომ მანამდე უნდა გადამუშავდეს მაღალი დონის პროფესიული სტანდარტები და მოდულები.

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული პროგრამების დასაფინანსებლად (მათ შორის არსებული 18 კოლეჯისათვის) დამტკიცებული აქვს 12 მლნ ლარი. სასწავლებლების წლიური ხარჯები არ აღემატება 6 მლნ ლარს და შექმნილი რეალობიდან გამომდინარე (2013 წლის იანვრიდან სექტემბრამდე არ გახსნილა არც ერთი საბიუჯეტო ჯგუფი) 2013 წელს მიიღება დიდი ეკონომია, ხოლო ახლად დასაფუძნებელი კოლეჯებისათვის რჩება საკმაო საბიუჯეტო ასიგნებანი, რათა 2013 წელს დაფუძნდეს და სწავლა დაიწყოს 20-ივე პროფესიულ კოლეჯში.

საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის „პროფესიული განათლების შესახებ ცვლილებების თაობაზე“ — 25-28 ივნისისათვის არის ნავარაუდევი. თუ შეთანხმება მიიღწევა, შესაძლებელი იქნება კანონპროექტის დახვეწა. მისი შეჯერების შემდეგ პარლამენტში განიხილება მეორე და მესამე მოსმენებით.

სანდრო ალექსიძე

◎ მკითხველის ლექსი

დარინა დავითაძე

შუახევი, აჭარა

სამშობლოსავით...

სამშობლოს სიო მატარებდა
აჭარის მთებში,
არსიანს ვიდექ, გამონათლევს
თუ ხინოს ტყეში,
გულით დამქონდა ჩემი სამშობლო
და ერთი ღმერთი,
მაგრამ ვგრძნობდი, რომ რაღაცა მაკლდა
და იმ უპოვნელს მთებში ვეძებდი.
მელანდებოდა თეთრწვერა კაცი...
მაიმედებდა, წინ მიმიძღოდა.
სულ ვცახცახებდი, სულ მეშინოდა
ვაითუ, რამე ცუდი შემყროდა.
არ მანებებდა ის ბერიკაცი,
სულ მშველოდა და მეფერებოდა.
შევხვდი, მეღირსა, ამიხდა ცხადში,
მლოცავს და მმოძღვრავს დღეს
პატრიარქი.
ცრემლებად დნობა სამშობლოსათვის
და ჭრილობების მედგრად დათმენა,
წუთისოფელში ამაოდ არ ძებნა
სამოთხის კარის,
და სიყვარულის ლოდის ატანა იქ,
გოლგოთამდის,
ტკივილის ფასად ლელოს გატანა
სამშობლოსათვის,
გულს ცხელი შანთით დაეტვიფრა
სამწმიდა სიტყვა
წმიდა ბაგიდან გამომავალი:
„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“,
დაღლილი სულის მეგზური ხომ სწორედ
ეს არი.
მე შენში ვხედავ მთელ საქართველოს
ნიკოფსიიდან დარუბანდამდის,
როს გეახლები, ცრემლად ვიღვრები,
თოთო ბავშვსავით,
მე შენ მიყვარხარ, უწმინდესო,
სამშობლოსავით.

◎ ალიან-ჩალიანი

„ნაციონალურ-სადისტურ“ მოძრაობას გაემიჯნეთ!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ალექსანდრე ქანთარიას განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ იმ ჩიხისკენ მიიწევს, სადაც მხოლოდ ორი აგურია დარჩენილი.

როგორც ქანთარიამ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, უმჯობესი იქნება, თუ საპარლამენტო უმცირესობის წევრები იტყვიან, რომ „ნაციონალურ-სადისტურ მოძრაობას“ ემიჯნებიან.

— თქვენ თუ მართლა გაწუხებთ ეს ამბავი, რომ ადამიანებს აწამებდნენ, უნდა თქვათ, რომ ემიჯნებით „ნაციონალურ-სადისტურ მოძრაობას“. ეს სახელი თქვენ მოძრაობას საზოგადოებამ შეარქვა, — განაცხადა ქანთარიამ.

მისივე თქმით, ყველამ კარგად იცის, რომ ადამიანთა წამება და ის დანაშაული, რაც ხდებოდა, 5-6 კაცის ჩადენილი არ არის.

ბაღათურიას საქართველოს მომავალ პრეზიდენტად ბურჭულაძე მიაჩნია

პაატა ბურჭულაძის საპრეზიდენტო არჩევნებში შესაძლო მონაწილეობის თემაზე „ინტერპრესნიუსი“ ფონდ „იავნანას“ დაუკავშირდა, სადაც აღნიშნულ საკითხზე შემდეგი სახის კომენტარი გააკეთა: ეს მოსაზრება ახალი არ არის, საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის პოლიტიკოსები ამ წინადადებითა და გულწრფელი სურვილით ბოლო დროს, ხშირად მიმართავენ პაატა ბურჭულაძეს. ამჟამად, ფონდი „იავნანა“ 9 ივლისს მისი სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტისთვის ემზადება, შესაბამისად, პაატა ბურჭულაძის ყველა კომენტარი მხოლოდ ამ თემას დაუკავშირდება, — განაცხადეს ფონდ „იავნანაში“.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პაატა ბურჭულაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას სთავაზობს და აცხადებს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

— მინდა, დაგიდასტუროთ, რომ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს პაატა ბურჭულაძესთან არა მხოლოდ ჩემი, არამედ პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილისა და საზოგადოებრივი მოძრაობების სახელით. დღეს საქართველოს სჭირდება ძლიერი კანდიდატი, რომელიც დააბალანსებს და შეძლებს „ოცნების“ კანდიდატის დამარცხებას. ბურჭულაძე არის ხალხის წიაღიდან წამოსული კანდიდატი და გახდება საქართველოს პრეზიდენტი. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ბატონი პაატა ფიქრობს ამ საკითხზე და ვიმედოვნებ, დადებითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, — აცხადებს ბაღათურია.

ნაციონალები საპრეზიდენტო კანდიდატს ივლისის ბოლოს დაასახელებენ

„ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პარტიის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერს 28 ივნისიდან 28 ივლისის ჩათვლით გამართავს. „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, პრაიმერში მონაწილეობა შეუძლია საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

მონაწილე კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონულ ორგანიზაციას, „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ფრაქციის არანაკლებ 5 წევრს და ფრაქციას ნებისმიერი მუნიციპალიტეტის საკრებულოდან.

პრაიმერში მონაწილე კანდიდატის წარდგენებას თან უნდა დაერთოს ამ კანდიდატის წერილობითი თანხმობა. კანდიდატის წერილობითი წარდგენება და თანხმობა გადაეცემა პრაიმერის ჩატარების საორგანიზაციო ჯგუფს 2013 წლის 21 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პარტიის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი გაიმართება რეგიონალური კონფერენციების — დებატების პრინციპით.

საზღვარგარეთ საქართველოს არც ერთი წარმომადგენლობა არ დახურულა

საზღვარგარეთ საქართველოს არც ერთი წარმომადგენლობა არ დახურულა, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მინისტრი გამოეხმაურა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, საგარეო საქმეთა სამინისტრო უკრაინაში, ოდესაში და დონეცკში საქართველოს გენერალური საკონსულოების სტატუსის გაუქმებას გეგმავს.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, სამინისტროს დანაყოფებს შორის რეორგანიზაცია მიმდინარეობს და ამაში არაფერი ტრაგიკული არ არის. მისივე თქმით, საქართველოს მსოფლიოს მასშტაბით 61 წარმომადგენლობა აქვს. აქედან, რამდენიმე გენერალური საკონსულოა. მინისტრის ინფორმაციით, ძალიან ბუნებრივი პროცესია, როდესაც სხვადასხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროები თავიანთ საელჩოებს და წარმომადგენლობებს გადახედავენ.

— ჩვენ გვაქვს გარკვეული ბიუჯეტი, რომელიც უნდა მოვარგოთ ჩვენს მოთხოვნილებებს. უკრაინაში, ჯამში მუშაობს 13 დიპლომატი, რაც ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ძალიან დიდი რაოდენობაა. საერთოდ, 61 წარმომადგენლობა, სოლიდური რაოდენობაა. ჩვენ ფაქტიურად მთელ მსოფლიოს ვფარავთ. არაფერი ტრაგიკული ამაში არ ხდება. ჩვენ გარკვეული ცვლილებები შეგვაქვს ჩვენი წარმომადგენლობების სტრუქტურაში, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისივე ინფორმაციით, წინა ხელისუფლების დროს, გერმანიაში, ფრანკფურტში დაგეგმილი იყო საკონსულოს გახსნა, თუმცა, გადაწყდა, რომ იქ გენერალური საკონსულო გაიხსნება.

ამასთან, ფანჯიკიძემ პრეზიდენტს მიუთითა, რომ გენერალურ კონსულს საგარეო საქმეთა მინისტრი ნიშნავს.

— კიდევ ერთი მცირე შენიშვნა, გენერალურ კონსულს ნიშნავს და ათავისუფლებს საგარეო საქმეთა მინისტრი და არა პრეზიდენტი, როგორც ეს განაცხადა პრეზიდენტმა თუ მისმა პრესსპიკერმა, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ოდესაში და დონეცკში საქართველოს გენერალური საკონსულოების სტატუსის გაუქმება იგეგმება.

— ახლა არის დრო უკრაინასთან დიპლომატიური წარმომადგნელობის დონის დაქვეითების?! ვინ მიიღო ეს ჭკვიანური გადაწყვეტილება. საბავშო ბაღში არ ვართ მე მგონი. გადაწყვეტილებას იღებენ იმის გამო, რომ პრეზიდენტის დანიშნული გენერალური კონსული შეიცვალოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დანიშნული კონსულით. იქნებ ჩემთვის ეკითხათ და მე მოვხსნიდი ამ გენკონსულს. რას გვეკიშპებიან. საქართველოს აზიანებთ. რა არის ეს, რას ჰგავს. ჩვენს მთავარ პარნტიორთან, უკრაიანასთან წარმომადგენლობის დონეს ვადაბლებთ მხოლოდ იმის გამო, რომ მე ჯიბეში ჩამიდგეს ვინმე?!, — განაცხადა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ეს არის უპასუხისმგებლო, ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება იმ დროს, „როდესაც უკრაინა გვჭირდება ჰაერივით“.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ᲒᲘᲐ ᲙᲠᲘᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ

ᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲣᲮᲠᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲮᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ?

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, შესაძლოა, ბრალი კიდევ დაუმძიმდეს. ამჯერად საქმე ეხება 2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარ ე.წ სამხედრო ამბოხს. მისეულ საკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ სარჩელს ამბოხის ორგანიზების ბრალდებით გასამართლებული კობა ოთანაძე, ლევან ამირიძე და კობა კობალაძე ამზადებენ.

როგორც ყოფილი პატიმრები for.ge-სთან საუბრისას ყვებიან, შსს-ში მათ წინააღმდეგ მტკიცებულების შექმნა თიანეთის გზატკეცილზე განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ დაიწყო.

სპეცოპერაციისას ადგილზე მოკლეს პოლკოვნიკი, ე.წ. ამბოხის ორგანიზებაში ბრალდებული გია კრიალაშვილი. რეინჯერების ბატალიონის ყოფილი უფროსი ლევან ამირიძე ჩვენთან საუბარში იხსენებს, როგორ დააკავეს წინა ღამეს მისი შტაბის უფროსი. ამირიძე ამბობს, რომ 5 მაისის ოპერაცია წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო.

„ჩვენ მაშინ მოვახერხეთ და დავტოვეთ მუხროვანის ტერიტორია და წიწამურის მთებიდან გადავედით მამკოდას ტყეში. გამოცხადდა ძებნა, მეტიც პრეზიდენტმა გასცა ლიკვიდაციის ბრძანება. კობამ ნახა თავისი ახლობელი და სთხოვა, რომ გავეყვანეთ უსაფრთხო ადგილას. როგორც მერე გაირკვა, ეს პიროვნება შსს-ს მიერ ყოფილა დამუშავებული. აღმოვჩნდით პოლიციის ალყაში, მანქანაში ჩაგვცხრილეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გია ადგილზე მოკლეს, ჩამოგვყარეს მანქანიდან და თქვენ წარმოიდგინეთ, დაჭრილები ვეგდეთ ქუჩაში და ამ დროს კობას ხელი და ფეხი დაუცხრილეს“, — ამბობს ლევან ამირიძე, რომელიც ერთ-ერთია, ვინც სარჩელს უმაღლესი მთავარსარდლისა და ყოფილი შს მინისტრის წინააღმდეგ ამზადებს.

2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სამხედრო ნაწილში არშემდგარი ამბოხის მონაწილეთა სასამართლო პროცესი 2010 წლის 11 იანვარს დასრულდა. სასამართლომ 41 ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, დაკითხა 100-ზე მეტი მოწმე. სხვადასხვა მუხლით პატიმრობა სულ 19 მსჯავრდებულს მიუსაჯეს. მუხროვანის საქმის 3 მთავარ განსასჯელს ბრალი ამბოხის ორგანიზებასა და დაუმორჩილებლობაში წაუყენეს.

სასამართლომ კობა ოთანაძეს 29, ლევან ამირიძეს 28, ხოლო შოთა გორგიაშვილს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ და სასამართლოზე დუმილის უფლებით სარგებლობდნენ. შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვეტილება მხოლოდ შსს-ს მიერ მოპოვებული ოპერატიული ცნობებით და დაკითხული მოწმეების ჩვენებების საფუძველზე მიიღო.

მუხროვანის საქმის მთავარი ბრალდებული კობა ოთანაძე დარწმუნებულია, რომ საკუთარ უდანაშაულობას დაამტკიცებს. For.ge-სთან საუბრისას ოთანაძე აცხადებს, რომ არანაირი ამბოხი ეს არ ყოფილა, ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის დაკვეთით დადგმული სცენარი.

— თქვენ ამბობთ, რომ არანაირი ამბოხის ორგანიზებაში და განხორციელებაში არ მონაწილეობდით. მაშინ რატომ დაუკავშირდა თქვენი სახელი 2009 წლის 5 მაისის ცნობილ მოვლენებს?

კობა ოთანაძე: იმიტომ, რომ 5 წელი ამ ბრიგადის მეთაური ვიყავი და ამიტომ პოლიტიკურად ააგორეს. მეტიც, მე მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგი ვიყავი. არასწორ პოლიტიკას ატარებდნენ თავდაცვის კუთხით, ჯარი დაანგრიეს, გაიაცამტვერეს, პატრიოტიზმი საერთოდ მოსპეს საქართველოში. ამათ მორჩილი ჯარი უნდოდათ, ძლიერი ჯარი არ სჭირდებოდათ.

— როგორ ახსნით იმას, რომ იმ დღეს თქვენ და გია კრიალაშვილი იყავით მუხროვანის სატანკო ნაწილში?

— არანაირი მუხროვანის ამბოხი არ ყოფილა. იმ დღეს მე და გია კრიალაშვილმა ლევან ამირიძე მუხროვანში ავიყვანეთ. მიზეზი ის იყო, რომ წინა დღეს ლევანის ოფიცრები და შტაბის უფროსი დაიჭირეს. ვიცოდით, თანამშრომლებს ეს უნდა გაეპროტესტებინათ. სიტუაციის გარკვევასა და უკან დაბრუნებას ვაპირებდით. ლევანს აინტერესებდა, რისთვის დაიჭირეს ბიჭები. ვერაფრის გარკვევა ვერ შევძელით. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და მათ „თამაშს“ წამოვეგეთ.

მუხროვანში ვიყავით, როცა გავიგეთ, რომ ტერიტორიას ალყა შემოარტყეს და გამოაცხადეს, თითქოს, ამბოხი იყო. ჩვენ ბიჭები გავაფრთხილეთ, რომ პროვოკაციას არ უნდა აჰყოლოდნენ და იარაღისთვის ხელი არ ეხლოთ. ტელევიზიებს ჩვენამდე მოსვლის უფლებას არ აძლევდნენ. ბუნებრივია, არ მოგვეცა განცხადების გაკეთების საშუალება. მივხვდით, იქაურობას უნდა გავცლოდით და მერე უნდა გვემტკიცებინა ჩვენი სიმართლე. მთელი ბრიგადა დაკითხეს, ამბობდნენ, ტელევიზიით გავიგეთ, მუხროვანში ამბოხი რომ მოხდაო.

ღალატეებს ციხიდან არ უნდა ათავისუფლდებდნენო...

— მიშა თვითონ არის სამშობლოს მოღალატე, თავისი „ნაცბანდით“.

— ამბოხში ბრალდებულებმა თავი მამკოდას ტყეს შეაფარეთ, თუმცა, 10 დღეში თქვენ დაგაკავეს...

— სიმართლე გითხრათ, არც ველოდეით, რომ ასე გაგვწირავდნენ. ინფორმაციაც არ გვქონდა. ახლობელთან გვქონდა კავშირი და მას ვთხოვეთ, რომ გავეყვანეთ ქვეყნიდან. ეს ახლობელი კი სოდის მიერ ყოფილა დამუშავებული და მათთვის უთქვამს ჩვენი ადგილსამყოფელი.

— შეგიძლიათ 4 წლის მერე დაასახელოთ ის ადამიანი, რომელიც პოლიციის თანხლებით გესტუმრათ?

— თავს შევიკავებ მისი ვინაობის დასახელებისგან. ჩემი ახლობლის ახლობელია. მათ თავიანთი პრობლემები ეყოფათ უკვე. მანქანა, რომელსაც ჩვენ უნდა გავეყვანეთ სამშვიდობოზე, სპეცდანიშნულების რაზმისა აღმოჩნდა. უკან ისინი ისხდნენ, მაგრამ ჩვენ არ დაგვინახავს. მანქანაში რომ ჩავჯექით, 10 წუთში საპატრულო პოლიციის მანქანამ გადაგვიჭრა გზა, წამებში უკანა საბარგულიდან გახსნეს ცეცხლი და ჩაგვცხრილეს.

— ოფიციალური ინფორმაციით, ამბოხებულებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეთ პოლიციას და სწორედ ორმხრივი სროლის შედეგად გარდაიცვალა გია კრიალაშვილი...

— არა. ეს ნამდვილად არ შეესაბამება სიმართლეს. უიარაღოები ვიყავი, არცერთს არ გვქონდა იარაღი. თქვენ წარმოიდგინეთ, მანქანაში ეყარა ტომრები და ამ ტომრების ქვეშ იწვნენ სპეცრაზმელები. იარაღი რომ გვქონოდა, წინააღმდეგობასაც ვერ გავწევდით, უკნიდან გაგვიხსენს ცეცხლი, ადგილზე ჩაგვცხრილეს.

— თუ ამოიცანით ვინმე? ვრცელდება ინფორმაცია, რომ ადგილზე იყვნენ გიგი უგულავა, გივი თარგამაძე და ვანო მერაბიშვილი...

— მანქანიდან რომ გადმოგვყარეს, 13 ტყვია მქონდა მოხვედრილი, ხელები და ფეხები დამიცხრილეს, შემდგნენ წიხლებით და მცემეს. ვერაფერს ვერ ვგრძნობდი. მაშინ ვნახე მერაბიშვილი, თარგამაძე და უგულავაც.

— ვინ გცემდათ?

— ვისაც მოუნდებოდა — ყველა. დახოცილები ვეყარეთ ქუჩაში და ამ დროს წიხლებს გვირტყამდნენ.

— როდის გაიგეთ, რომ მოკლული იყო გია კრიალაშვილი?

— მანქანიდან რომ გადმოგვყარეს, გია ლევანის გვერდით იყო, მე ცოტა მოშორებით დამაგდეს, ლევანმა თქვა, რომ პირველივე გასროლის მერე გია არ ინძრეოდაო. როგორც კი აზრზე მოვედი, გადამიყვანეს ციხის საავადმყოფოში, იქ მოვიდნენ კუდ- ის და სოდ-ის თანამშრომლები და ითხოვდნენ აღიარებას. მოიტანეს დაწერილი ფურცელი და მითხრეს ამას წაიკითხავო, რაც არ გავაკეთე. უარი ვთქვი მათი დაწერილი ჩვენების წაკითხვაზე.

— რა ეწერა ამ ტექსტში?

— თითქოს, რუსეთისგან იყო დაგეგმილი ეს ამბოხი, რომელშიც ჩვენთან ერთად ქართველი პოლიტიკოსებიც იყვნენ ჩართული.

— სამხედრო ამბოხის ორგანიზების ბრალდებით დაკავებულები სარჩელს ამზადებთ პრეზიდენტისა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, ბატონო კობა, რეაბილიტაციას ითხოვთ?

— რასაკვირველია. როდესაც ციხეში ვიყავი, წერილი დავწერე გენერალური პროკურორის სახელზე, ჯერ ჩვენი საქმე გამოუძიებელია. ამ ეტაპზე, ამ საქმის დამთავრებას ველოდებით და აუცილებლად შევიტანთ სარჩელს სააკაშვილისა და მერაბიშვილის წინააღმდეგ. იმიტომ, რომ არაფრის გულისთვის, არა მარტო მე, არამედ მთელი ჩემი ოჯახი და ნათესავები დააკავეს და მოდულის შენობაში ჰყავდათ. პატარა ბავშვებიც კი დააკავეს. ჩვილი ბავშვი, რომელიც დედის ძუძუზე იყო, ორი დღე ჰყავდათ დაკავებული. გია კრიალაშვილი სააკაშვილის ბრძანებით მოკლეს, მან პასუხი უნდა აგოს ამის გამო.

— რის საფუძველზე ამბობთ, რომ კრიალაშვილი სააკაშვილის ბრძანებით მოკლეს?

— თვითონ თქვა, მიწიდან ამოყარეთო და ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. ბრძანება ჰქონდათ სპეცრაზმელებს, რომ გავენადგურებინეთ. 300-400 კაცი მონაწილეობდა ჩვენს ჩაცხრილვაში. ამას უყურებდნენ უგულავა, თარგამაძე და მერაბიშვილი, მათ თვალწინ გვირტყამდნენ და ამაზე რეაქცია არ ჰქონდათ. თქვენ წარმოგიდგენიათ, ის ადამიანები, რომლებმაც ჩვენ ჩაგვცხრილეს, თანამდებობებზე მუშაობენ ჯერ კიდევ.

— რომელ უწყებაში მუშაობენ?

— შსს-ში. ესენი არიან სოდ-ის სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი უფროსი და მისი მოადგილე.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

◉ ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲐ

ᲔᲠᲗᲘ „ᲐᲜᲢᲘᲙᲝᲠᲠᲣᲞᲪᲘᲣᲠᲘ“ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„სრ“ ერთხელ უკვე წერდა ამ ამბის გამო, თუმცა, სიტუაცია კვლავ არ შეცვლილა. ამბავი კი ისაა, რომ ერთი ყოველკვირეული უპოპულარულესი გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს პრეზიდენტყოფილ ედუარდ შევარდნაძესთან საუბარს, რასაც მე პირადად ინტერესით ვკითხულობ ხოლმე, რამდენადაც ამ გამოცდილი, გონიერი, ბევრი „ვაის“ გამგონე და ბევრი „უის“ მნახველი პოლიტიკოსის ნაუბარი ყოველთვის მეგულისყურება.

ოღონდ ასევე ყოველ ნომერში, ე. შევარდნაძესთან ინტერვიუს „გვერდით“, ვხვდებით ვისიმე ენა-პირით ნათქვამ აუგ სიტყვას სწორედ მისი მისამართით. ბოლო ნომერში, მაგალითად ეგ „აუგობა“ ამგვარად იყო კომუფლიაჟირებული: „ტერაქტის იმიტაცია პოლიტლეშად ქცეულ სააკაშვილს ცოტა ხნით მაინც გააცოცხლებდა და აქტუალურ ფიგურად აქცევდა ისევე, როგორც 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტმა პრეზიდენტ შევარდნაძეს მოუსწრო და პოლიტიკური ჩიხიდან გამოაძვრინა“; მიხვდით, ხომ, გადაკრულ სიტყვას? მეც მივხვდი...

უარესი გადაკვრებიც შემხვედრია პრეზიდენტყოფილზე და მიკვირს — ან ბატონი ედუარდი რატომ თანამშრომლობს იმ გაზეთთან, სადაც ასე ხშირად „უსკვამენ“ (როგორც იმერეთში იტყვიან), ან გაზეთი რატომ სჩადის უტაქტობას იმ კაცის მიმართ, ვისთანაც ყოველკვირეულად აგზავნის კორესპონდენტს...

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მიჰყავს თუ არა ივანიშვილს საქართველო უფრო ახლოს ნატოსთან, ვიდრე სააკაშვილს?

როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა თვის დასაწყისში განაცხადა, რომ საქართველოსათვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების სამოქმედო გეგმის მოპოვებას მომავალი წლის ბოლომდე აპირებს, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მან, თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, გეოპოლიტიკური ოცნების სფეროში გადაინაცვლა. გაწევრების სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს სრულუფლებიანი წევრობისაკენ მიმავალ მტკიცე გზაზე დააყენებდა, ყოველთვის იყო სააკაშვილის „წმინდა გრაალი", თუმცა კი ეს მიზანი სულ უფრო შორეულ პერსპექტივად იქცა უკანასკნელი წლების განმავლობაში.

თუმცა, მაიკლ სესირეს (ანალიტიკოსი კავკასიის საკითხებში) მიხედვით, ივანიშვილის ხელისუფლება მართლაც ახორციელებს სწორედ ისეთ რეფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ადგილს ალიანსში. გამოცემაში The National Interest გამოქვეყნებულ სტატიაში ის აღნიშნავს, რომ თავდაცვაზე გაღებული თანხების დიდი ოდენობის, ავღანეთის ომში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და გასულ წელს წარმატებული არჩევნების წყალობით, საქართველო ძლიერ კანდიდატად გვევლინება. თუმცა, რასაკვირველია, ალიანსში საქართველოს გაწევრების საქმეში ყველაზე სუსტი წერტილი ყოველთვის იყო პოლიტიკური ასპექტი, რაც დაკავშირებულია სირთულეებთან რუსეთთან ურთიერთობებში. მაგრამ, როგორც სესირე აცხადებს სტატიაში, ივანიშვილის ხელისუფლებამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ პრობლემის დასარეგულირებლად.

„ახალმა ხელისუფლებამ გამოთქვა რუსეთთან ურთიერთობების გადახალისებისათვის მზადყოფნა და წამოიწყო შეიარაღებული ძალების რეფორმის პროგრამა კიდევ ერთი ომის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრებასთან დაკავშირებული პოზიციის განსამტკიცებლად. აღიარა რა, რომ ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის" აგრესიულმა რიტორიკამ მოსკოვთან ურთიერთობაში ვერავითარი სარგებელი ვერ მოუტანა თბილისს ევროატლანტიკური მისწრაფებების განხორციელებ-ის თვალსაზრისით, „ქართული ოცნების" ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს რუსეთთან კავშირების ნორმალიზაციისათვის".

მიუხედავად ამისა, სესირე იმასაც აღნიშნავს, რომ ამჟამად ირაკლი ალასანიას თავდაცვის სამინისტროში განხორციელებულ მნიშვნელოვან დემოკრატიულ რეფორმებს ნაკლებად აშუქებენ.

„ალიანსისა და დასავლელი ოფიციალური პირებისათვის განსაკუთრებით თვალშისაცემია დემოკრატიული პრაქტიკის გავრცელებაზე გამიზნული ძალისხმევა. თავდაცვის სამინისტროში ალასანიამ შექმნა გამჭვირვალობაზე მომუშავე ჯგუფი და ამ საქმეში ჩართო „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" შუალედური ანგარიშის მოსამზადებლად. ალასანია გაემიჯნა უწინ არსებულ პრაქტიკას და აცხადებს, რომ ოდესღაც ბუნდოვანი ზღურბლი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის ახლა უფრო მკაფიოა და მკაცრად დაცული, ვითარების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ასევე აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ გადადგა არატრადიციული ნაბიჯი და შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის მიზანიცაა სამინისტროზე პარლამენტის ზედამხედველობის გაზრდა. იუსტიციის სამინისტრო, კიდევ ერთი უწყება, რომელსაც გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს საზღვარგარეთ, ასევე ახორციელებს მთელ რიგ მნიშვნელოვან რეფორმებს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა განსაკუთრებით აღნიშნა ასეთი ინიციატივები და განაცხადა კიდეც, რომ ახალი ხელისუფლება, წინამორბედებთან შედარებით, „გარკვეულწილად უფრო მიზანმიმართულად მიიწევს წინ (ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ)".

იქნება თუ არა ეს საკმარისი საქართველოს ალიანსში გაწევრების გზაზე მდგარი დაბრკოლებების გადასალახავად, თანაც მომდევნო 18 თვის განმავლობაში? რასაკვირველია, ეს არავინ იცის. თუმცა, ალბათ, უპრიანია, სერიოზულად განვიხილოთ მოსაზრება, რომ ივანიშვილის ხელისუფლება უფრო შესაფერისი ძალაა საქართველოს ალიანსში გაწევრების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვიდრე მისი წინამორბედი.

FOR.GE

სააკაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყეს

„ქართულ ოცნებაში" მიაჩნიათ, რომ ამ კამპანიის მორალური ასპექტი იურიდიულზე უფრო მნიშვნელოვანია

საპარლამენტო კოალიცია „ქართული ოცნების" დეპუტატმა გია ყორჟოლიანმა 26 ივნისს მოახდინა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების ინიციირება. პირველ ეტაპზე მას დასჭირდება პარლამენტში შეაგროვოს თავისი ორმოცდაათი კოლეგის — კანონმდებელთა მთელი კორპუსის მესამედის — ხელმოწერა. ამის შემდეგ მოთხოვნა გადაეგზავნება განსახილველად უმაღლეს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. პირველ შემთხვევაში — თუ დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, მეორეში — თუ მან, სავარაუდოდ, დაარღვია ძირითადი კანონი. ერთი თვის განმავლობაში სასამართლო ხელისუფლებას გამოაქვს ვერდიქტი და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საკითხი უბრუნდება საბოლოო მხარდაჭერისთვის პარლამენტს.

თავად ყორჟოლიანმა ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ მისთვის მთავარია — „არა ის, რომ მიაღწიოს სააკაშვილის, როგორც ასეთის, ჩამოშორებას ხელისუფლებისგან იმპიჩმენტის გზით, არამედ შექმნას პრეცედენტი, რომ მომავალში პირველმა პირებმა არასოდეს უგულებელყონ კონსტიტუცია".

— ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი პირადად სააკაშვილისთვის და აგრეთვე მორალურიც ყოველი პრეზიდენტისთვის მომავალში, — თქვა მან.

პარლამენტარმა განმარტა, რომ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება გადაწყვიტა წამების ვიდეო მასალების აღმოჩენის შემდეგ, რაც ხორციელდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სააკაშვილის პარტიის მმართველობის პერიოდში — 2004-2012 წლებში. მისი სიტყვებით, ეს ყოველივე პრეზიდენტის ნებართვით ხორციელდებოდა.

პარლამენტარების ნაწილი მმართველი კოალიციიდან მზად არის, ხელი მოაწეროს მის ინიციატივას. თუმცა, მთლიანად „ქართულ ოცნებაში" კონსენსუსი ჯერჯერობით არ არის. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ ჩვენს გაზეთს განუმარტა, რომ იმპიჩმენტის პროცედურა შეიძლება გაჭიანურდეს რამდენიმე თვით, და ამრიგად გადაიდება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, რომელთა შესაბამისადაც ოქტომბრის შემდეგ საქართველოში ძირითადი უფლებამოსილებანი თავს მოიყრის პრემიერ-მინისტრთან.

თანხმობის არარსებობა კონკურენტების რიგებში პრეზიდენტისეულ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" მხოლოდ ახარებთ.

— აი ხედავთ, ეს არის მხოლოდ კონკრეტული დეპუტატის ინიციატივა, თავად „ქართულ ოცნებაში" კი არ არის საერთო მიდგომა, ესე იგი, ეს ყოველივე არააქტუალურია. სხვათა შორის, ეს მათი საშინაო საქმეა, — უთხრა ჩვენს გაზეთს დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" მიხეილ მაჭავარიანმა.

ბატონ სააკაშვილის კიდევ ერთმა მომხრემ შოთა მალაშხიამ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საუბრებით იმპიჩმენტის შესახებ „ქართულ ოცნებას" სურს, ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს იმას, რომ არ სრულდება წინასაარჩევნო დაპირებანი.

— ცდილობენ, უბრალოდ, მონახონ დამნაშავე საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისთვის, — უთხრა მან ჩვენს გაზეთს.

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ აღნიშნა, რომ იმპიჩმენტის პროცედურის ამოქმედებას ექნება, როგორც ჩანს, უფრო ეთიკური, ვიდრე პოლიტიკური მნიშვნელობა. მას აგრეთვე მიაჩნია, რომ თუ ვერ მოხერხდება სააკაშვილის მოხსნა ვადამდე, მის მიმართ მაინც წარმოიქმნება შეკითხვები მიმდინარე წლის შემოდგომაზე გადადგომის შემდეგ.

— საპრეზიდენტო ვადის დამთავრებისა და ამასთან აბსოლუტური იმუნიტეტის დაკარგვასთან დაკავშირებით ამჟამინდელი პრეზიდენტისადმი, ცხადია, პრეტენზიები ექნება პროკურატურას. სააკაშვილი პირადად პასუხისმგებელია საქართველოში მომხდარი უბედურებებისთვის, — გვითხრა ბატონმა სიგუამ. — მერე რა, თუ დასავლეთი ამაზე ნერვულ რეაგირებას მოახდენს? აი, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი გასასამართლეს და შვიდი წლის პატიმრობა მიუსაჯეს და ეს არ არის სახელმწიფოს მოქმედი ან წინა ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის ერთადერთი მაგალითი?

პრეზიდენტობის კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან", ვიცეპრემიერმა გიორგი მარგველაშვილმა, თავის მხრივ, გამოთქვა აზრი, რომ სააკაშვილი თავის პოსტზე დარჩება ვადის ბოლომდე.

— ეს იქნება სიმართლე ისტორიის წინაშე, რომ არჩევნები გაიმართა დროულად და ორგანიზებულად, რომ ხელისუფლება გადაეცეს დემოკრატიულად. ეს საჭიროა სახელმწიფოს სტაბილური განვითარებისთვის, — უთხრა მან ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს.

იმპიჩმენტის პროცედურის ფინალურ ეტაპზე საჭირო იქნება ქართველი დეპუტატების ასი ხმა. ამჟამად „ქართულ ოცნებას" 85 მანდატი აქვს. არის კიდევ 12 პარლამენტარი, რომლებიც გამოეყვნენ პრეზიდენტის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" და ჩვეულებრივად მხარს უჭერენ მმართველი კოალიციის ინიციატივებს. მაგრამ მასთან ერთადაც კი ხმები იმპიჩმენტის გამოცხადებისთვის ჯერჯერობით საკმარისი არ არის. ასე რომ, მოუწევთ სერიოზული მუშაობა, რათა მიაღწიონ სააკაშვილის გადადგომას.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ინდოეთის ოკეანეში გასაჭირშია ხომალდი, რომელსაც, როგორც ჩანს, გადააძვს იარაღი სირიელი მეამბოხეებისთვის

უფრო სწორად, საკითხი შეეხება კონტეინერმზიდ „მოლ კომფორტს", რომელიც უბედურების შესახებ იტყობინებოდა ჯერ კიდევ 17 ივნისს. შტატ გოას ხელისუფლება იტყობინება, რომ ხომალდი მიდიოდა სინგაპურიდან ახლო აღმოსავლეთში, რომელიც შტორმის დროს შუაზე გადატყდა და იმყოფება სანაპიროდან დაახლოებით 530 საზღვაო მილზე. გუნდი გადაარჩინეს, კონტეინერების ნაწილი წყალში ჩავარდა.

„ისლამიზმის მამა იური ანდროპოვი": მტრის მხარეზე გადასულმა უხუცესმა მოღვაწემ დაწერა წიგნი ახლო აღმოსავლეთში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის „ანტისემიტური" ოპერაციის შესახებ

ყოფილი რუმინელი მზვერავის სიტყვებით, რომელიც ცნობილია თავისი უცნაური გულღიაობით, სწორედ სსრ კავშირის სპეციალურმა სამსახურებმა 1970-იან წლებში გადათარგმნეს არაბულ ენაზე „სიონელ ბრძენთა ოქმები" და ეს წიგნი ათასობით ცალად გადაგზავნეს არაბეთის აღმოსავლეთში, თანაც ამტკიცებდნენ, რომ „ბრძენები" იმყოფებიან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში.

რასმუსენმა კვლავ გააკრიტიკა რუსეთი მამთულსლართების გამო საქართველოს საზღვარზე, თუმცა, საქართველოს ნატოში შემმანას არ ჩქარობს

„ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის სრულ პასუხისმგებლობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში", — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა თბილისში ვიზიტის წინა პერიოდში. მაგრამ მას მიაჩნია, რომ ჯერჯერობით ნაადრევია ალიანსის გაფართოების და ნატოში საქართველოს წევრობის ვადებზე კონკრეტული საუბრები.

ჩინელი საიდუმლონავტები 15-დღიანი ფრენის შემდეგ დაბრუნდნენ დედამიწაზე: მათ ოვაციებით და ყვავილებით შეხვდნენ

ეს გაფრენა გახდა ყველაზე ხანგრძლივი პილოტირებული მისია ჩინეთის კოსმონავტიკის ისტორიაში. ექსპედიცია „შენჩოუ-10"-ის ძირითადი ამოცანა იყო მოდულ „ციური სასახლე-1"-თან შეერთება, რომელიც ორბიტაზე იმყოფება უკვე 330 დღეზე მეტი ხანია და არის მომავალი ჩინური ორბიტული სადგურის სახეობა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას ელის მსოფლიო ლოხ-ერნის შეხვედრისგან?

სირიის სამთავრობო ძალების წარმატებულმა იერიშმა ე.წ. აჯანყებულების წინააღმდეგ, რთულ მდგომარეობაში ჩააყენა აშშ და მისი როგორც ევროპელი, ისე ახლო აღმოსავლელი მოკავშირეები. მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, სასწრაფოდ გამოიძებნა გზებიც – „წითელი ხაზების“ დარღვევის გამო ბაშარ ასადის მოწინააღმდეგეთათვის იარაღის, მათ შორის მძიმეს, მიწოდება, საპაერო ბლოკადა. ბაშარ ასადის წარმატება, რაღაც სასწაულად დაემთხვა (იქნებ შეგნებულად?) სამთავრობო ჯარის მიერ მეამბოხეთა წინააღმდეგ ქიმიური იარაღის „გამოყენებას“.

ეს თემა, პირველმა, საფრანგეთმა გაახმოვანა, მსოფლიო საზოგადოებას უჩვენა მოწამლული მეამბოხეები, ფირზე აღბეჭდილი ტანჯვის სცენებით. თუმცა, ძნელია დადგენა იმისა, სად, რომელ ქვეყანაში ხდებოდა ეს, ვინ იყვნენ ტანჯულები და ა.შ., მაგრამ ფრანგმა ჟურნალისტებმა, ხოლო მოგვიანებით სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ქიმიური იარაღი სახელმწიფო ჯარმა „გამოიყენა“.

მოგვიანებით, ამ დასკვნას საკუთარი, ომახიანი დასტური შეაგება ვაშინგტონის თეთრმა სახლმაც – წყალი არ გაუვა ამ ამბავსო, ბრძანა თეთრი სახლის წარმომადგენელმა, რომელსაც მოჰყვა თვით პრეზიდენტ ობამას განცხადება – ბაშარ ასადმა „წითელი ხაზები“ უგულებელყო, რაც თავისთავად იძლევა შანსს, ფართო სამხედრო დახმარება გავუწიოთ სირიელ აჯანყებულებსო.

სირიელ აჯანყებულებს რომ სამხედრო დახმარებას უწევდა და უწევს დასავლეთი, სენსაცია არ არის. აშშ და ნატოს წევრი სახელმწიფოები არა მარტო იარაღით ამარაგებდნენ ამბოხებულებს, არამედ – ფინანსებით, სამხედრო სახის ინფორმაციით. ობამას განცხადების შემდეგ დღის წესრიგში დგება მეამბოხეთა მძიმე იარაღით მომარაგება.

ობამას ინიციატივას უმალ აუბეს მხარი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კემერონმა, ნატოს სხვა წევრი ქვეყნების ლიდერებმა. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ სირიაზე პირდაპირი თავდასხმა თითქმის რეალობად უნდა ქცეულიყო.

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადება სირიაზე თავდასხმის მოწოდებად აღიქვეს როგორც მოკავშირეებმა, ისე მოწინააღმდეგეებმა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დასავლური ისტერიის წინააღმდეგ გამოდიოდა, რუსეთი იყო. ის ეჭვქვეშ აყენებდა სირიის ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების „ფაქტს“ და კატეგორიულად მოითხოვდა დასავლეთის მიერ ამბოხებულთათვის იარაღის მიწოდებისგან თავის შეკავებას.

რუსეთის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ გაეროს სპეციალურ კომისიას სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით, რომ ეს იარაღი მეამბოხეებმა ხელისუფლების დასადანაშაულებლად გამოიყენეს. სპეცკომისიის წევრმა კარლა დელ პონტემ თავის ვრცელ ტელეინტერვიუში აღნიშნა ეს ფაქტი, თან ისიც დაუმატა, კომისიის აზრი არც ვაშინგტონს და არც ბრიუსელს არ აინტერესობთო.

სპეცკომისიის მოსაზრებას ზურგი გაუმაგრა საერთაშორისო წითელი ჯვრის განცხადებამაც. მისი აზრით, ქიმიური იარაღი მეამბოხეებმა გამოიყენეს. მაგრამ „დემოკრატიულ“ და „სამართლიან“ დასავლეთს, როდესაც უნდა – თეთრი შავად აღიქმება. ვაშინგტონს სურს, რომ ასადი დაისაჯოს, ამდენად, გაეროს სპეცკომისიის, მით უმეტეს წითელი ჯვრის საწინააღმდეგო მტკიცება მისთვის მიუღებელია. ასეთ მსოფლიოში ჭირს სიმართლის გატანა, სიმართლის დაცვა.

ასეთი „სიმართლე“ იყო სადამ ჰუსეინის ერაყის მიმართ. სწორედ ქიმიური და ბირთვული იარაღის შექმნის საბაბით დაესხა თავს ერაყს აშშ, რომელმაც აიძულა სხვა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, მის გვერდით დამდგარიყო.

ისტორია მეორდება. მეორდება აშშ-ის პოლიტიკაც, მიუხედავად ამერიკისთვის სავალალო შედეგებისა. ერაყის ომს არაერთი ამერიკელი და მისი მოკავშირეების სამხედროთა სიცოცხლე შეეწირა, რომ აღარაფერი ვთქვათ ერაყელებზე, ნანგრევებად ქცეულ ერაყის ქალაქებზე და ა.შ.

ერაყის ომი დამთავრდა, მაგრამ ომი გრძელდება. ერთმანეთს წაკიდებული სუნიტები და შიიტები სხვადასხვა სახის ტერორისტული აქტებით ხოცავენ ერთმანეთს. აშშ-მა ჯარი გაიყვანა ერაყიდან, მაგრამ დაძაბულობა არ განელებულა. შიიტური ხელისუფლება, რომელმაც სუნიტური ჩაანაცვლა, მჭიდროდ თანამშრომლობს შიიტურ ირანთან. ამერიკელთა გათვლა არ აღმოჩნდა გონივრული არც ერაყში და არც ლიბიაში. რა იქნება სირიაში, თუკი დასავლეთი იერიშს განახორციელებს, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

სირიის პრეზიდენტის მხარეს იბრძვიან ლიბანში არსებული ორგანიზაცია „ჰესბოლას“ მეომრები. ირანის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე გავრცელდა ცნობა, რომ კულმინაციის შემთხვევაში, ირანის რევოლუციის დაცვის გუშაგთა ხუთი ათასი მეომარი გვერდში დაუდგება ბაშარ ასადს. არ არის გამორიცხული, რომ ბაშარ ასადის მოწინააღმდეგე არაბული ქვეყნები: საუდის არაბეთი, ყატარი, არაბული საამიროები ღიად ჩაერთონ კონფლიქტში, ისე, როგორც ეს მოხდა ლიბიაში.

გასათვალისწინებელია ისრაელისა და თურქეთის ფაქტორიც. ორივენი ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან. ყოველივე აღნიშნული აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ სირიაში ორი წლის წინათ დაწყებული ომი საერთაშორისო ომში გადაიზარდოს – ახლო აღმოსავლეთის ჩართვით. და არა მარტო ახლო აღმოსავლეთის, ვინაიდან გასათვალისწინებელია რუსეთის ფაქტორიც, რომელიც მხარს უჭერს ბაშარ ასადის ხელისუფლებას და როგორც პუტინმა აღნიშნა, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების გათვალისწინებით, რუსეთი თავდაცვითი იარაღით ამარაგებს სირიის მთავრობას.

აი, ასეთი მძიმე ფონი შეიქმნა დიდი რვიანის შეხვედრის წინ. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო დიდი ყურადღებით ელოდა აგრესიულ გადაწყვეტილებას, ანუ სირიის წინააღმდეგ საერთაშორისო „პროგრესული“ ძალების დარაზმვას და ჯვაროსნული ომის გაჩაღებას, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის შეუვალმა პოზიციამ ჩააცხრო კოლეგა რვიანის წევრთა ბობოქარი შემართება.

ძნელია ვარაუდი იმისა, რომ დასავლეთი მომავალში არ შეცვლის ჩრდილოეთ ირლანდიის პატარა საკურორტო ქალაქ ლოხ-ერნში ხელმოწერილ დოკუმენტს, რომელშიც არც ბაშარ ასადის ჩამოგდებისა და არც მის საწინააღმდეგოდ ერთიანი სამხედრო ძალის გამოყენებაზეა საუბარი. რაზეც საუბარია, სამშვიდობო კონფერენციის გამართვაა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე, სირიის ირგვლივ შექმნილმა პიკს მიღწეულმა ვითარებამ განელება დაიწყო და რომ ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა რუსეთის პრეზიდენტის პუტინის პრინციპულმა, თანამიმდევრულმა პოლიტიკამ.

პუტინმა გაუძლო შეტევებს და ისეთ გამონათქვამებს, როგორიც გააკეთა კანადის პრემიერ-მინისტრმა ჰარპერმა – „შვიდეული რუსეთის წინააღმდეგ“ ან „რვიანში რუსეთს არაფერი ესაქმება“. ამ და სხვა გამონათქვამების მიუხედავად, პუტინი იყო თავშეკავებული, კორექტული, კოლეგა წევრების მიმართ პოზიტიურად განწყობილი.

მან ისიც აღნიშნა, რომ სირიის ხელისუფლების მიმართ რბილი დამოკიდებულება დიდი რვიანიდან მარტო მას კი არა, სხვასაც ჰქონდა, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ დაძაბულობის განელებაში წვლილი ყველას მიუძღვნის.

სიმართლე კი მოითხოვს ითქვას – ყველას დამსახურება იყო ვითარების უაღრესად დაძაბვა, რაც მოხდა დიდი რვიანის სამიტის წინ.

სარწმუნო წყაროების მიხედვით, პუტინს, ობამასთან ორსაათიანი შეხვედრის დროს, სიტყვა არ დასცდენია 2009 წელს, ინგლისში გამართული დიდი რვიანის შეხვედრაზე ამერიკა-ინგლისის სპეცსამსახურების მიერ კოლეგა წევრების, მათ შორის რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის მედვედევის სატელეფონო მოსმენების მცდელობასთან დაკავშირებით.

ეს ცნობა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა მუშაკმა სნოუდენმა გამოაქვეყნა ინგლისურ გაზეთ „გარდიანში“. და ისიც დაუმატა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს ობამასა და დიდი ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერის გორდონ ბრაუნის დონეზე. სნოუდენის ინფორმაციამ სერიოზული ზიანი მიაყენა ნობელის პრემიის ლაურეატის ობამას იმიჯს არა მარტო აშშ-ში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

უნებლიეთ იბადება კითხვა – რამდენად შეიძლება ენდო სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც გაღიმებული ხელს გართმევს, თან ზურგს უკან თქვენს სატელეფონო საუბრებს უსმენს?

აშშ-ში სატელეფონო საუბრების მოსმენა კარგა ხანია, ჩვეულებრივი რამ არის. ჩემს გაოცებას ყოველთვის იწვევდა იმ გულუბრყვილო პოლიტიკოსთა ჩივილი, რომლითაც ისინი ამერიკას მიმართავენ – საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობის სატელეფონო საუბრებს უსმენსო.

რომ იტყვიან, არცოდნა არცოდვააო, მაგრამ, როდესაც თავდავიწყებით ეტრფი „სტრატეგიულ პარტნიორად“ აღქმულ ქვეყანას, ცოტა რამ მაინც უნდა იცოდე მისი ცხოვრების წესზე, თვალი უნდა გქონდეს შევლებული აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ალბერტ გორის წიგნისთვის, სადაც ავტორი ხაზგასმით წერს იმ უწესობაზე, რომელსაც საყოველთაო მოსმენა ჰქვია.

„თუ ფედერალურ მთავრობას სურს, მას შეუძლია აკონტროლოს ინტერნეტის საიტები, რომელსაც სტუმრობთ, მიიღოს ხალხის სია, ვისაც უგზავნით ან ვისგანაც იღებთ შეტყობინებას ელექტრონული ფოსტით, მოისმინოს სატელეფონო საუბარი. მთავრობა ვალდებული არ არის, ანგარიში ჩააბაროს მოსამართლეს, თუ რაში იყენებს ამ ინფორმაციას“, – წერს გორი თავის წიგნში „შეტევა გონებაზე“.

ლოხ-ერნის სამიტის დროს და მანამდე ლონდონში პრესკონფერენციაზე, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ჟურნალისტის შეკითხვას, სირიისთვის რაკეტსაწინააღმდეგო C-300 სისტემის მიწოდების თაობაზე, უპასუხა, რომ რუსეთი საერთაშორისო სამართლის სრული გათვალისწინებით ხელმძღვანელობს. ის არ არღვევს საერთაშორისო ნორმებს, არ გადის დაწესებული ჩარჩოებიდან.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში რუსეთმა გააორმაგა სამხედრო იარაღით ვაჭრობა, რაც თავისთავად მეტყველებს რუსეთში დამზადებული სამხედრო ტექნიკის ხარისხზე. აღსანიშნავია ისიც – თუ აშშ და რუსეთი აწარმოებენ ბირთვულ განიარაღებას, დანარჩენი ქვეყნები – პირიქით. მაგალითად, ჩინეთმა, ინდოეთმა და პაკისტანმა 2012 წელს გაზარდეს თავიანთი ბირთვული ქობინების რაოდენობა. გარდა ამისა, ჩინეთი შევიდა იარაღით მოვაჭრეთა ხუთეულში.

სტოკჰოლმის მსოფლიო პრობლემათა კვლევის ინსტიტუტის მონაცემებით – 2013 წლისთვის აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, პაკისტანს, ინდოეთს, ისრაელს 17 265 ბირთვული ქობინი ჰქონდათ. მოსკოვმა შეამცირა თავისი არსენალი 10-ათასიდან 8.5-ათასამდე, ვაშინგტონმა – 8.5-ათასიდან – 7.7-ათასამდე. დანარჩენი ქვეყნები არ ამცირებენ ბირთვულ იარაღს, პირიქით ჩინეთმა 240-დან 250-მდე, ხოლო ინდოეთმა 80-100-დან 90-110-მდე გაზარდეს.

იზრდება იარაღით ვაჭრობაც. 2008 წლიდან 2012 წლამდე იარაღით ვაჭრობა 17%-ით გაიზარდა. მსხვილ მოვაჭრეებად იქცნენ აშშ, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჩინეთი. სწორედ მათზე მოდის იარაღით ვაჭრობის 75%. იარაღით ვაჭრობაში წარმატებებს აღწევენ ისეთი ქვეყნებიც, როგორებიცაა იაპონია, სამხრეთ კორეა, სინგაპური. აზიის ქვეყნებში სამხედრო მშენებლობის სექტორის წარმატება უკავშირდება საერთო ეროვნული პროდუქტის და სამრეწველო წარმოების ზრდას.

დიდი რვიანის სამიტის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი გერმანიას ეწვია. ეს იყო გერმანიაში ობამას პირველი ვიზიტი პრეზიდენტის რანგში. ბერლინში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან უამრავი ხალხის წინაშე გამოსვლის დროს მან მოუწოდა რუსეთს ბირთვული იარაღის კარდინალური შემცირებისკენ.

ჩემს მეხსიერებას პრეზიდენტ რეიგანის ბერლინის გამოსვლა შემორჩა. მაშინ მან, კარიბჭესთან ზურგით მდგომმა, მოუწოდა საბჭოთა კავშირის კპ გენერალურ მდივან გორბაჩოვს: „გორბაჩოვ, დაანგრიე ეს კედელი (კედელი, რომელიც ბერლინს ორ ნაწილად ჰყოფდა და რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ხრუშჩოვმა ააშენა აღმოსავლეთ გერმანიის დასავლეთისგან „დასაცავად“). რეიგანამდე კი ბერლინს პრეზიდენტი კენედი სტუმრობდა, რომელმაც გაყოფილ გერმანელთა მხარდასაჭერად განაცხადა: „მე ბერლინელი ვარ“.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. დაინგრა ბერლინის კედელი. დასავლეთი და აღმოსავლეთი გერმანია გაერთიანდა. დაინგრა საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად ისტორიას ჩაბარდა ვარშავის მოლაპარაკების სახელმწიფოთა ორგანიზაცია, საერთოდ, კომუნისტური იდეოლოგია. საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთში ისეთივე კაპიტალიზმია, როგორიც აშშ-ში. მარტო ის რად ღირს, რომ რუსეთის მილიარდერთა რაოდენობა, აშშ-ის შემდეგ, მეორეა მსოფლიოში. და, მიუხედავად ამისა, დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირება ლამის „ცივი ომის“ პერიოდისას გაუტოლდეს.

აშშ მსოფლიოს პირველი ქვეყანაა და ამ პირველობის დათმობას არ აპირებს. პირიქით, პირველობის შესანარჩუნებლად ხშირად ბრძოლისთვის მიუღებელ ხერხებსაც ხმარობს – ერაყი, ავღანეთი, ახლო აღმოსავლური პოლიტიკა, ირანის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციები, ფერად-ყვავილოვანი რევოლუციები და სხვა მრავალი ამის დამადასტურებელია.

პრეზიდენტი ობამა მოითხოვს ამერიკა-რუსეთის ბირთვული არსენალის შემცირებას, მაგრამ რა ვუყოთ იმ ბირთვულ იარაღს, რომელიც საფრანგეთში (300 ბირთვული ქობინი) და დიდ ბრიტანეთშია (225 ბირთვული ქობინი)?

ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტის წარმომადგენლის შენონ კაილის მიხედვით, არც ერთ მათგანს ბირთვული იარაღის შემცირების პერსპექტივა არ ხიბლავს. არადა, დატოვების შემთხვევაში მოსკოვის მიდგომა ამ საკითხისადმი სამართლიანია. კონფლიქტის დროს, ისინი ხომ ვაშინგტონის მხარეს დადგებიან და არა მოსკოვის?!

„თუ რომელიმე ერი ცდილობს სხვა ერის მიმართ დომინირებას, მას ყოველთვის ექნება წინააღმდეგობა“, – წერდა ნიუტონი.

რაც შეეხება ალბერტ გორს, ის ასე განიხილავს ბუშის ადმინისტრაციის მოქმედებას: „მსოფლიო არენაზე დომინირების სურვილმა აიძულა ბუშის ადმინისტრაცია მოეხდინა გაეროს იგნორირება, დაერღვია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, გაეღვივებინა ზიზღი და არასასურველი განწყობა ამერიკელთა მიმართ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში“.

როგორც პრაქტიკა გვიკარნახებს, არც დემოკრატები წასულან შორს რესპუბლიკელებისგან. დღევანდელ ამერიკასაც ისე ამოძრავებს ჰეგემონიზმის სურვილი, როგორც ბუშის და მანამდელი პრეზიდენტების ადმინისტრაციებს. დიდი განსხვავება ამ დარგში არ ჩანს.

ჰამლეტ ჟიჰაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფარიკაობა

გუნდურში – უკეთ, ვიდრე პირადში

ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში დამთავრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ მოხმალავე ვაჟები მონაწილეობდნენ. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ კადეტებში 2010 წლის ბრინჯაოს პრიზიორი მიხეილ მარდალეიშვილი, 23-წლამდელთა შორის ევროპის შარშანდელი მესამეადგილოსანი ბექა ბაზაძე და მისი უმცროსი ძმა - 20-წლიანებში კონტინენტის წლევანდელი პირველობის გამარჯვებული სანდრო ბაზაძე. გუნდური ჩემპიონატის სტარტზე ქართველმა მოხმალავეებმა ბოლო სამი ოლიმპიური თამაშების მონაწილე ბელარუსებს სძლიეს 45:43 და მეოთხედფინალში გავიდნენ, იქ კი ორივე შეხვედრა დათმეს და საბოლოოდ მე-8 ადგილზე გავიდნენ.

პირად პირველობაში სანდრო ბაზაძემ 23-ე ადგილი დაიკავა, მიხეილ მარდალეიშვილი და ბექა ბაზაძე, შესაბამისად, 34-ე და 35-ე ადგილებს დასჯერდნენ.

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მერაბ ბაზაძემ გვითხრა, 6-9 ივლისს სამივე მოფარიკავე ყაზანში მსოფლიოს უნივერსიადაზე მოსინჯავს ძალებს, მერე კი საბა სულამანიძესთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადება. ამ შეჯიბრებას 5-12 აგვისტოს ბუდაპეშტი უმასპინძლებს.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან - მიხეილ მარდალეიშვილი, ბექა და სანდრო ბაზაძეები.

◎ ჭადრაკი

გელაშვილის ამერიკული დოლარები

5000 ამერიკული დოლარი – აი, ის მთავარი პრიზი, რომელიც რუსთაველმა დიდოსტატმა თამაზ გელაშვილმა აშშ-ში მარშალის ტურნირზე პირველი ადგილისთვის დაიმსახურა – 9 შესაძლებლიდან მან 7 ქულას მოუყარა თავი. რამდენიმე თვეა, ჩვენებური აშშ-ში იმყოფება და იქაურ შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობს; მარშალის მემორიალში მეორე-მესამე ადგილებზე იან ელვესტი და სემ შანკლენდი (ორივე – აშშ) გავიდნენ. 5,5 ქულით გიორგი ყაჭეიშვილი მე-11 იყო, მიხეილ კეკელიძე კი 4,5 ქულით 21-ე ადგილს დასჯერდა.

გივი გაგუა

◎ მოზარდები

„ევროპას“ ურეკმა უმასპინძლა

ეძვსი ქვეყნის 8-12 წლის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ ევროპის თასზე, რომელსაც ურეკმა უმასპინძლა.

8-წლიან გოგონებში შესანიშნავად ითამაშა ხობელმა დიანა ლომაიამ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 9 ქულით (!) მთავარი პრიზი მოიპოვა. 8 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ლილე გუმბერიძე, 7 ქულით მესამე ადგილი სომეხ ანა პოღოსიანს ერგო. **ბიჭებში** რვა-რვა ქულით პირველი-მეორე ადგილები არსენ დავთიანმა (სომხეთი) და აიდინ სულეიმანლიმ (აზერბაიჯანი) გაიყვეს. მესამე იყო სომეხი რობერტ მურადიანი.

10-წლიანები. გოგონები. 1. ზეინაბ ისმაილზადე (აზერბაიჯანი, 7,5 ქულა), 2. თამარ ესაძე (საქართველო, 7), 3. ნია დოღვანი (საქართველო, 6); **ბიჭები**. 1. არტიომ ტრუბჩანინოვი (რუსეთი, 8), 2. ფარიდ მუსტაფაევი (აზერბაიჯანი, 7), 3. ვუგარ მანაფოვი (აზერბაიჯანი, 7).

12-წლიანები. გოგონები. 1. გაბრიელა ანტოვა (ბულგარეთი, 6,5), 2. ელენე კოსტავა (საქართველო, 6,5), 3. ანასტასია სიდამონიძე (საქართველო, 6), **ბიჭები.** 1. ვუგარ ასადლი (აზერბაიჯანი, 8), 2. შანთ სარქისიანი (სომხეთი,7), 3. კანან კარაევი (აზერბაიჯანი, 6,5).

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

ტატიშვილმა უიმბლდონის პირველი წრე ვერ დაძლია

ანა ტატიშვილმა კარიერაში მორიგი დასანანი მარცხი განიცადა. ქართველი ჩოგბურთელი უიმბლდონის პირველ რაუნდში ხორვატ პეტრა მარტიჩს დაუპირისპირდა და სამსეტიან შეხვედრაში 1:6, 6:1, 3:6 დამარცხდა.

თამაში საათს და 23 წუთს გაგრძელდა და ანას გამარჯვების შანსი ნამდვილად ჰქონდა, თუმცა, მეტწილად საკუთარი შეცდომების და მცირედით უიღბლობის გამო, წარუმატებლობა შეემთხვა.

ცნობისთვის, ტატიშვილს პირველ მოწოდებაზე 67%-ანი მაჩვენებელი ჰქონდა, საიდანაც სათავისოდ 55% (31 56-დან) დაასრულა, მეორე მოწოდებაზე კი ბურთების 46% (13 28-დან) მოიგო.

ანას ეისი არ მოუწოდებია და 5 ორმაგი შეცდომა დაუშვა (მარტიჩს 10 ეისი და 6 ორმაგი ჰქონდა). ქართველმა ჩოგბურთელმა 11-დან 3 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ხოლო ხორვატმა 11-დან 5 ბრეიკი მიითვალა.

ტატიშვილს 19 მომგებიანი დარტყმა და 22 უნებლიე შეცდომა ჰქონდა (მეტოქეს, შესაბამისად, 29 და 19) და ჯამში მარტიჩზე 8-ით ნაკლები ბურთი მოიგო – 78:86.

ამ მარცხის გამოისობით, ქართველმა ჩოგბურთელმა 100 სარეიტინგო ქულა დაკარგა და ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) კლასიფიკაციაში სერიოზული უკუსვლა ელის.

კიდევ უფრო დასანანი ის გახლავთ, რომ მარტიჩის დამარცხების შემთხვევაში, ტატიშვილს ბრძოლის გაგრძელების კარგი შანსი ჰქონდა.

საქმე იმაშია, რომ მარცხი განიცადა მე-13 ნომრად განთესილმა რუსმა ჩოგბურთელმა ნადია პეტროვამ, რომელიც ანას შესაძლო მეტოქედ მოიაზრებოდა.

პეტროვას 6:3, 6:2 ჩეხმა კაროლინა პლისკოვამ მოუგო და მე-2 რაუნდში მარტიჩს სწორედ ის დაუპირისპირდება.

თუკი უიმბლდონის ერთეულთა ბადეში ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი მოხვდა, საქართველოს 2 წარმომადგენელი ეყოლება წყვილებში. ტატიშვილის გარ-

და, ეს პატივი ოქსანა კალაშნიკოვასაც ერგო.

ანა რუმინელ სიმონა ჰალეპთან გახლავთ შეამხანაგებული და საწყის შეხვედრაში ფრანგ სტეფანი ფორეც გაკონსა და ჩეხ ევა ჰრდინოვას გაეჯიბრება.

თავის მხრივ სლოვაკ იანა ჩეპელოვასთან ერთად ითამაშებს კალაშნიკოვა. ქართულ-სლოვაკური წყვილი ძალებს ამერიკულ-გერმანულ დუეტთან (ირინა ფალკონი-ტატიანა მარიასი) მოსინჯავს.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

აზღუდების კონკურსი ბრაზილიაში

ბრაზილიაში, კონფედერაციათა თასის მიმდინარეობისას, სტადიონებთან ახლოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე, ქომაგებისათვის მრავალი საინტერესო გასართობი ღონისძიება ეწყობა. მათ შორის გულშემატკივართა განსაკუთრებული მოწონება აზღუდების კონკურსმა დაიმსახურა.

აზღუდების კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერი გარეგნობისა და ასაკის ქალს შეუძლია. მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ კონკურსის მონაწილეს აზღუდი უნდა ეცვას და მაისური შიშველ მკერდზე არ ჰქონდეს მოცმული.

კონკურსს სპეციალური ჟიური ჰყავს, რომელიც ყველაზე სექსუალურ და მიმზიდველ აზღუდებს ავლენს და აზღუდების მფლობელებს პრიზებით აჯილდოებს. გულშემატკივრის გართობაც ასეთი უნდა!

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

საფრანგეთის ევრობასკეტზე ტონი პარკერი წარუძღვება

მის გარდა, „სამფეროვნებს“ ნბა-ს 6 მოთამაშე მიჰყავთ

ცნობილი გახდა საფრანგეთის საკალათბურთო ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადებას დაიწყებს. მიუხედავად იმისა, რომ „სამფეროვანთა“ თავკაცმა ვენსან კოლემ რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე მოისაკლისა, საფრანგეთს მაინც ძალიან ძლიერი კრებული ჰყავს და, ცხადია, მომავალი ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნება.

გამთამაშებლები: ტონი პარკერი (სან ანტონიო, NBA), ტომას უერტელი (კახა ლაბორალი, ესპანეთი), ანტუან დიო (პარი-ლევალუა), ლეო ვესტერმანი (პარტიზანი, სერბეთი).

მცველები: ნანდო დე კოლო (სან ანტონიო, NBA), იანიკ ბოკოლო (გრავეელინ-დიუნკერკი), ევან ფურნიე (დენვერი, NBA), ედვინ ჯეკსონი (ლიონ-ვილერბანი).

მსუბუქი ფორვარდები: ნიკოლა ბატუმი (პორტლენდი, NBA), შარლზ კაჰუდი (ლე მანი), მიკაელ ჟელაბალი (მინესოტა, NBA).

მძიმე ფორვარდები: ბორის დიაო (სან ანტონიო, NBA), ფლორან პიეტრუსი (ვალენსია, ესპანეთი), ჟოფრუა ლავერნი (პარტიზანი, სერბეთი), კიმ ტილიე (მურსია, ესპანეთი).

ცენტრები: რონი ტურიაფი (კლიპერსი, NBA), ალექსის აჟინკა (სტრასბურგი).

ცხადია, საფრანგეთის ნაკრების ლიდერი ტონი პარკერი იქნება, რომელსაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „სან ანტონიოს“ მაისურით ჩინებული სეზონი ჰქონდა. ნაკრებში არიან „სფურზში“ მისი თანაგუნდელები ნანდო დე კოლო და ბორის დიაოც.

ჯამში, ფრანგებს ნბა-დან ერთბაშად 7 კალათბურთელი ჰყავთ და უკვე ცხადია, რომ მომავალ ევრობასკეტზე ეს სარეკორდო მაჩვენებელი იქნება.

ისიც სათქმელია, რომ ტრავმების გამო კოლემ ოკეანის გაღმა მოთამაშე კიდევ 3 მოთამაშე მოისაკლისა: ჟოაკიმ ნოა (ჩიკაგო), იან მაჰიმნი (ინდიანა) და კევინ სერაფინი (ვაშინგტონი). მათ გარდა, სხვადასხვა მიზეზთა გამო სლოვენიაში გამგზავრებას ვერ შეძლებენ ალი ტრაორე (ალბა, გერმანია) და ლუდოვიკ ვატი (გრაველინ-დიუნკერკი).

აღსანიშნავია, რომ კოლეს რამდენიმე კალათბურთელი კიდევ ჰყავს შეგულებული, რომელთაც განაცხადში მოხვედრის შანსი მაშინ მიეცემათ, თუკი შემადგენლობიდან ვინმე ტრავმის გამო „ამოვარდება“: ენდრიუ ალბისი (პარი-ლევალუა), რუდი გობერი (შოლე), ლიეიო ჟან-შარლზი (ლიონ-ვილერბანი), ჟერემი ლელუპი (დიჟონი), ადრიენ მოერმანი (ბილბაო, ესპანეთი).

საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას აგვისტოდან დაიწყებს და, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ერთ საკონტროლო მატჩს საქართველოს ეროვნული გუნდის წინააღმდეგაც ჩაატარებს. ეს შეხვედრა ანტიბის „აძურ არენაზე“ 17 აგვისტოს შედგება.

გარდა ამისა, ფრანგები ძალებს ფინეთის, გერმანიის (ორჯერ), ხორვატეთის, საბერძნეთის, სერბეთის, ესპანეთის (ორჯერ) და სლოვენიის ნაკრებებთანაც მოსინჯავენ.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის საკალათბურთო ნაკრები ევრობასკეტის A ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ისრაელი, უკრაინა და ბელგია ეყოლება. ტურნირის სასტარტო მატჩში ფრანგები 4 სექტემბერს გერმანელებს ეთამაშებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ იურიდიული კონსულტაცია

სავალდებულო წილის განსაზღვრის წესი და პირობები

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

ჩვენი გაზეთის მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით, დღეს მემკვიდრეობის სამართლის ერთი მეტად მნიშვნელოვან საკითხს შევეხებით — რას ითვალისწინებს კანონი იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდროს დამტოვებელს (მამკვიდრებელს) ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრეები (შვილები, მეუღლე და მშობლები), მაგრამ მან ანდერძით მთელი თავისი ქონება ოჯახისთვის უცხო პირს დაუტოვა. ჰპირდება თუ არა ამ შემთხვევაში კანონი რაიმე წილს მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილ პირველი რიგის მემკვიდრეებს?

შეგახსენებთ, რომ მემკვიდრეობის უფლება ორი სახისაა, კანონით და ანდერძით. თუ სახეზეა ანდერძი, მაშინ ქონება გადაეცემა მემკვიდრეს ანდერძის შინაარსის მიხედვით. კანონით მემკვიდრეობის საკითხი კი იმ შემთხვევაში დგება, როცა არ არსებობს ანდერძი ან იგი მიჩნეულია ყალბად, ანდა მემკვიდრემ უარი თქვა ანდერძით გათვალისწინებული ქონების მიღებაზე.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, მემკვიდრეთა რომელ კატეგორიას ეკუთვნის სავალდებულო წილი და კონკრეტულად როგორ განისაზღვრება მისი ოდენობა?

პასუხი: ანდერძით მემკვიდრეობის დროს გარკვეულწილად იზღუდება ანდერძით მემკვიდრეთა ამორჩევის თავისუფლება. პირველი რიგის მემკვიდრეებს — მამკვიდრებლის შვილებს, მეუღლეს და მშობლებს ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა, მიუხედავად იმისა, გაითვალისწინა თუ არა ისინი მოანდერძემ ანდერძით. ეს ის მემკვიდრეებია, რომელთაც არ შეიძლება მთლიანად ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უღირს მემკვიდრეებად არიან ცნობილი.

კიდევ უფრო გასარკვევი რომ იყოს სავალდებულო წილის არსი, მოვიყვან ასეთ მაგალითს: გარდაიცვალა მამაკაცი, რომელსაც დარჩა 3 მილიონი დოლარის უძრავ-მოძრავი ქონება, ორი შრომისუნარიანი და ერთი ინვალიდი შვილი. გაირკვა, რომ აღნიშნულმა პირმა მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა მეგობარ ქალს (მეუღლე და მშობლები ამ დროისთვის გარდაცვლილი ჰყავდა). ასეთ შემთხვევაში, მოქმედი კანონის თანახმად, შვილები მთლად მემკვიდრეობის გარეშე არ დარჩებიან და სავალდებულო წილის სახით მიიღებენ ნახევარ-ნახევარი მილიონი დოლარის ქონებას, მაშინ, როცა, მათ მამას ანდერძი სხვის სასარგებლოდ რომ არ დაეწერა, როგორც კანონით მემკვიდრეები, ისინი მიიღებდნენ თითო-თითო მილიონის ღირებულების ქონებას.

ადრე მოქმედი კანონმდებლობით, სავალდებული მემკვიდრეებად ითვლებოდნენ მამკვიდრებლის მხოლოდ არასრულწლოვანი და შრომისუუნარო შვილები, მეუღლე, მშობლები და კმაყოფაზე მყოფი სხვა მემკვიდრეები. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი კი სავალდებულოდ არ მიიჩნევს აღნიშნულ პირთა არასრულწლოვნებას და შრომისუუნარობას.

* * *

კითხვა: როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ გარდაიცვალა ისე, რომ სავალდებულო წილის მიღება ვერ მოასწრო? მის მემკვიდრეებს ექნებათ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება?

პასუხი: სამკვიდროს გახსნის შემდეგ, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, მის მემკვიდრეებს შეუძლიათ მოითხოვონ სავალდებულო წილი, რაც გარდაცვლილ მემკვიდრეს ერგებოდა. მაგრამ აქვე მნიშვნელოვანია ერთი გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში გარდაცვლილი მემკვიდრის ყველა მემკვიდრე კი ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, არამედ მხოლოდ ის მემკვიდრეები, რომელთაც გარდაცვლილი მემკვიდრისგან სავალდებულო წილი ეკუთვნით.

სავალდებულო წილის განსაზღვრისას, უპირველესად, უნდა გაირკვეს სამკვიდროს მთელი მოცულობა. სამკვიდროში, რომლიდანაც უნდა განისაზღვროს სავალდებულო წილის ოდენობა, ჩაითვლება როგორც ანდერძით გათვალისწინებული, ისე გაუთვალისწინებელი ქონება. სავალდებულო წილის ოდენობა სამკვიდროს მოცულობასთან ერთად დამოკიდებულია კანონით მემკვიდრეთა რიცხვზე, რაც განისაზღვრება სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის.

* * *

კითხვა: მოქმედი კანონის თანახმად, როგორი წესით ხდება სავალდებულო წილის გამოანგარიშება?

პასუხი: სავალდებულო წილის გამოანგარიშებისას უნდა ვისარგებლოთ შემდეგი წესით: თავდაპირველად უნდა გამოვლინდეს ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, შემდეგ უნდა განისაზღვროს მთელი სამკვიდროს ღირებულება და მიღებული სიდიდე გაიყოს კანონით მემკვიდრეთა რიცხვზე. მიღებული სიდიდის ნახევარი იქნება სავალდებულო წილი. როცა მხოლოდ ერთი კანონით მემკვიდრეა და ისიც სავალდებულო წილის უფლების მქონე, სამკვიდრო კი სხვას ეანდერძა, სავალდებულო მემკვიდრე მიიღებს სამკვიდროს ნახევარს. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს სავალდებულო წილში ჩაეთვლება ის ქონება, რაც მან სამკვიდროს გახსნამდე მიიღო მამკვიდრებლისაგან, მაგრამ ამისთვის აუცილებელია იმის წინასწარ დათქმა, რომ ეს ქონება სავალდებულო მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის შემდეგ ჩაეთვლება სავალდებულო წილში.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სავალდებულო წილის მოცულობა, უნდა მოხდეს სამკვიდროდან მისი გამოყოფა. სავალდებულო წილი უპირველესად უნდა გამოიყოს ანდერძით გაუთვალისწინებელი სამკვიდროდან, თუ ასეთი არის; მაგრამ თუ ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება აღნიშნულისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, იგი შეივსება ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან. თუ ანდერძით მთელი სამკვიდროა გათვალისწინებული, მაშინ სავალდებულო წილი მთლიანად ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან გამოიყოფა.

„თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან ათი წელია გასული“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1378-ე). აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ მამკვიდრებელს ეკრძალება თავისი ქონების გაჩუქება ანდა გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება, მაგრამ ეს გამოიწვევს ჩუქების ხელშეკრულების შეწყვეტას და საჩუქრის უკან დაბრუნებას. გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში დაბრუნება იმას ნიშნავს, რომ ამ ნივთის ღირებულება გათვალისწინებული იქნება სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს. მაგალითად, თუ მამკვიდრებელმა სიცოცხლეში გარეშე პირს აჩუქა ნივთი, რომლის ღირებულება არის 300 ლარი, სამკვიდროს ღირებულება კი ექვსას ლარს შეადგენს, სავალდებულო წილი განსაზღვრული უნდა იყოს არა ექვსასი, არამედ ცხრაასი ლარიდან (სამკვიდროს ღირებულებას ემატება გაჩუქებული ქონების ღირებულება). გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება სავალდებულო წილის განსაზღვრისას მოხდება სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირის მოთხოვნით.

კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, რომ თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს ეანდერძა ქონება, რომელიც იმ წილის ნახევარზე ნაკლებია, რომელსაც იგი კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ის წილი, რომლითაც ანდერძით მიღებული მისი წილი ნაკლებია იმ წილის ნახევარზე, რასაც კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა.

* * *

კითხვა: შეიძლება თუ არა, კანონით მემკვიდრემ, რომელსაც სავალდებულო წილი ეკუთვნის, უარი თქვას მასზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ?

პასუხი: დიახ, სავალდებულო წილზე შეიძლება უარის თქმა, ასევე შესაძლებელია სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა და სავალდებულო წილის გადასვლა ანდერძით მემკვიდრეებზე. უფრო კონკრეტულად, მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას თავის წილზე სამკვიდროდან სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ხოლო სავალდებულო მემკვიდრეს კი სავალდებულო წილზე სხვა თანამემკვიდრის სასარგებლოდ უარის თქმის უფლება არა აქვს. სამკვიდროს ის ნაწილი, რომელზედაც უარი თქვა სავალდებულო მემკვიდრემ, გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე და მათ შორის თანაბრად ნაწილდება. სავალდებულო წილის მიღების ან მიღებაზე უარის თქმისათვის კანონი იმავე ვადებს ადგენს, რასაც სამკვიდროს მიღების ან მის მიღებაზე უარის თქმისათვის.

პირს შეიძლება ჩამოერთვას არა მხოლოდ მემკვიდრეობის უფლება, არამედ სავალდებულო წილის მიღების უფლება. სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა იმავე საფუძვლებით ხდება, რომლებითაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა. სავალდებულო წილის მიღების უფლება მემკვიდრეს შეიძლება ჩამოერთვას ჯერ კიდევ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, თუ მამკვიდრებელი სიცოცხლეშივე მიმართავს სასამართლოს მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის თაობაზე.

* * *

კითხვა: რა დროიდან მოქმედებს გადაწყვეტილება პირველი რიგის მემკვიდრეებისთვის სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესახებ?

პასუხი: გადაწყვეტილება სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს სამკვიდროს გახსნამდე, მაგრამ იგი მოქმედებს სამკვიდროს გახსნის შემდეგ. სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგაც, თუკი მამკვიდრებელმა სასამართლოს სიცოცხლეშივე მიმართა, მაგრამ საქმის განხილვის დროს ცოცხალი აღარ იყო. ასეთ შემთხვევაშიც სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.

ის გარემოება, რომ მამკვიდრებელს სიცოცხლეშივე შეუძლია მოითხოვოს მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა, არ ნიშნავს იმას, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაინტერესებულ პირებს არ აქვთ ამა თუ იმ სავალდებულო მემკვიდრისათვის ამ უფლების ჩამორთმევის მოთხოვნის შესაძლებლობა.

აი, ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს სავალდებულო წილის მიღების უფლებას. თუ ამ თემით დაინტერესებულ მკითხველებს კვლავ დაებადებათ კონკრეტული შეკითხვები, გთხოვთ, მოგვწეროთ ან დაგვირეკოთ ზემოთ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და მიიღებთ ამომწურავ პასუხს თქვენთვის საინტერესო საკითხებზე.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.



◎ სალარო აპარატები

პირველი ივლისის ნაცვლად — გაისიდან

ბაზრობის ტერიტორიებზე სალარო აპარატების გამოყენება სავალდებულო 2013 წლის 1 ივლისის ნაცვლად, 2014 წლის 1 იანვრიდან იქნება. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები „საგადასახადო კოდექსში“ შედის, რომელიც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ მოამზადა.

დეპუტატის მიერ მომზადებული საკანონმდებო ინიციატივით, 2014 წლის 1 იანვრამდე, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც დაქირავებულ პირთა შრომას არ იყენებენ და ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებულ არასტაციონარულ სავაჭრო ადგილებზე, მათ შორის, დახლზე, გარდა იმ პირისა, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია, გაიაროს რეგისტრაცია დღგ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.

როგორც for.ge-ს ტყემალაძემ განუმარტა, ცვლილებების მომზადების მიზეზია — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის გადამხდელებისთვის ადმინისტრირების პროცედურების გამარტივების აუცილებლობა.

პარლამენტი „საგადასახადო კოდექსში“ შესატან ცვლილებებს 28 ივნისის პლენარულ სხდომაზე დაამტკიცებს.

თეონა მანაგაძე

◎ ინფორმაცია

სიჩქარის გადაჭარბებაზე ჯარიმები შემცირდება

საჯარიმო სანქციები მძღოლის მიერ სიჩქარის გადაჭარბებისა და შუქნიშნის ამკრძალავ ნიშნებზე გავლის წესის დარღვევის შემთხვევებზეც მცირდება. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტით, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია, სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მძღოლის 100 ლარის ოდენობით დაჯარიმების ნაცვლად, მის 75 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ისეთ შემთხვევებში, როცა სიჩქარის გადაჭარბებას შედეგად საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება მოჰყვება, მძღოლი 150 ლარით დაჯარიმდება, ნაცვლად 250 ლარისა, როგორც ამას კოდექსი სადღეისოდ ითვალისწინებს.

მცირდება გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების წესების დარღვევისთვის განსაზღვრული სანქცია და ასეთი ქმედება 25 ლარით დაჯარიმდება, ნაცვლად 50 ლარისა.

მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული („დაუთმე გზა“, „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“) ან ამკრძალავი („შესვლა აკრძალულია“, „მოძრაობა აკრძალულია“) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 30 ლარის ოდენობით, ნაცვლად 50 ლარისა.

გარდა ამისა, ნახევრდება ჯარიმა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე და ამ დარღვევისთვის მძღოლი 100 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება. ასევე ნახევრდება ჯარიმა წლის განმავლობაში აღნიშნული ქმედების განმეორების შემთხვევებში და მისი ოდენობა 200 ლარიდან 100 ლარამდე მცირდება.

საგზაო და ამკრძალავი ნიშნების დარღვევა, რომელსაც შედეგად საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება მოჰყვა, რომელმაც საცობის წარმოქმნა გამოიწვია, მძღოლის 200 ლარის ნაცვლად, 100 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი ფრაქციამ „ქართული ოცნება“ — ეროვნული ფორუმი“ მოამზადა. ინიციატივის ავტორი დეპუტატი თემურ მაისურაძეა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ტესტი

თქვენ და გარშემომყოფნი...

გაიარეთ ტესტი და გაიგეთ, ხომ არ უჭირთ თქვენთან ურთიერთობა გარშემომყოფებს

1. ყოველთვის ხართ ზრდილობიანი?

ა) რასაკვირველია, ზრდილობიანობით ჩვენ ვუქმნით კარგ განწყობილებას ჩვენ თავსაც და სხვებსაც.

ბ) არა, ეს ჩემი საქმე არ არის.

გ) გააჩნია სიტუაციას. თუ

უხეშად მეპყრობიან,შეიძლება თავი ვერ შევიკავო.

2. ამ გამონათქვამებიდან რომელი შეესაბამება თქვენს დამოკიდებულებას დავებისადმი?

ა) „დავებში ჭეშმარიტება იბადება“.

ბ) „დავებში წარმოქმნილ ჭეშმარიტებაში, როგორც წესი, არის გვარისეული ტრავმებიც“.

გ) „თუ გადაწყვიტეთ იდავოთ, გიჟს ნუ ედავებით — ხალხმა თქვენს შორის სხვაობა შეიძლება ვერც შენიშნოს“.

3. თქვენი აზრით, სრულ ჰარმონიაში შეიძლება იყო:

ა) ყველა თქვენს გარშემომყოფებთან.

ბ) მხოლოდ საკუთარ თავთან.

გ) არც არავისთან, არც არაფერთან. სრული ჰარმონია — ეს მითია.

4. შეუძლია ცუდ ამინდს ამოგაგდოთ კალაპოტიდან?

ა) დიახ, ასეთი რამ ხშირად ხდება.

ბ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩემს გეგმებს ხელს შეუშლის.

გ) არა, მთავარია — როგორი ამინდია სულში.

5. სიტყვამრავლობის რომელი მტკიცებაა თქვენთვს ყველაზე მახლობელი.

ა) „მახვილი ენა — ნიჭია, გრძელი ენა — სასჯელი“.

ბ) „მოლაყბეები ეშმაკები არიან: ბევრს ლაყბობენ, რომ არაფერი თქვან“.

გ) „ლაპარაკის მოყვარული კომპანიის სულია“.

6. ყოველთვის ხართ მზად, წახვიდეთ დასახმარებლად?

ა) რა თქმა უნდა! მზად ვარ, უანგაროდ დავეხმარო ადამიანს, თუ ეს შემიძლია.

ბ) ვეხმარები ადამიანებს,რომ ისინიც დამეხმარონ მე.

გ) არა, იმიტომ, რომ „თუ კაცს გაჭირვებაში დაეხმარე, ის აუცილებად გაგიხსენებს... როდესაც კვლავ გაჭირვებაში აღმოჩნდება“.

7. რა იწვევს თქვენში შეშფოთებას?

ა) აბსოლუტურად ყველაფერი.

ბ) ვფიქრობ მხოლოდ მახლობლებზე.

გ) შეშფოთებისთვის დრო არა მაქვს.

8. თქვენთვის ცხოვრება — ეს არის...

ა) უსასრულო სრულყოფილება.

ბ) დიდი ხნის ლოდინი რაიმესი ან ვინმესი.

გ) მომხიბლავი თამაში, საიდანაც გამარჯვებული არავინ გამოდის.

დაიანგარიშეთ ქულები ცხრილის დახმარებით და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8
ა	3	1	3	1	3	3	1	3
ბ	1	3	2	2	2	2	3	1
გ	2	2	1	3	1	1	2	2

24-19 ქულა. თქვენ მსუბუქი ადამიანი ხართ. ბავშვობიდანვე აითვისეთ მარტივი ჭეშმარიტება: მოეპყარი ადამიანებს ისე, როგორც გინდა, რომ ისინიც შენ მოგეპყრონ. როგორც ჩანს, ეს თქვენ გამოგდით.

18-13 ქულა. თქვენ, აშკარაა, განწყობილების ადამიანი და შემოქმედებითი ნატურა ხართ. თქვენთვის თავისუფლება ყველა მის გამოვლინებაში თავისთავად ცხადი რამაა. როცა მას უფრთხილდებით, ყოველთვის ითვალისწინებთ თქვენს გარშემომყოფთა ინტერესებს, ვინაიდან დიდი ხანია, ცნობილია: პირადი თავისუფლება თავდება იქ, სადაც მეორე ადამიანის თავისუფლება იწყება.

12-8 ქულა. სიბრძნე გვმოძღვრავს: „ხასიათი ადამიანისთვის — ეს იგივეა, რაც სურნელი ყვავილისთვის“. მაგრამ ზოგიერთ სურნელს გარშემომყოფნი ძნელად იტანენ... ეცადეთ, გახდეთ უფრო მომთმენი და ყურადღებიანი მათდამი, ვინც თქვენ გვერდითაა.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ერთმანეთისადმი

„უპრიანი იძნებოდა, ისრაელში საჰაერო თავდაცვითი სისტემები გვეყიდა“

— აცხადებს სამხედრო ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარი რედაქტორი ირაკლი ალადაშვილი, — პრემიერს ისრაელში ბევრად უფრო სერიოზული თემები აქვს მოსაგვარებელი, ვიდრე მხოლოდ იარაღის შესყიდვაა. თუმცა, თუ იარაღის შესყიდვაზე მიდგა საქმე, ყველაზე მეტად თავდაცვას საზენიტო სისტემები ესაჭიროება, ირანი კი ასეთი სისტემების ერთ-ერთი საუკეთესო მწარმოებელია. ამის ფონზე შეიძლება არც გამოირიცხოს, რომ ისრაელი საქართველოსთვის სერიოზული საბრძოლო ტექნიკის მიყიდვით დაინტერესდეს.

„რეზონანსი“

„ივანიშვილის ხელისუფლების უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან“

— მიაჩნია ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარეს თამარ ჩხეიძეს. იგი ბიძინა ივანიშვილს პუტინის მოყვანილ პოლიტიკოსად თვლის და ეჭვობს, რომ რუსეთმა ივანიშვილი საქართველოში მოავლინა გარდამავალი პერიოდისთვის, ხოლო შემდგომ ხელისუფლებაში მოვლენ ბურჯანაძე ან რესპუბლიკელები, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ასრულებენ... დასავლეთიდან არ არის შეკვეთა, რომ საქართველო დაიშალოს და მას აფხაზეთი ჩამოშორდეს. ეს შეკვეთა მათ მიღებული აქვთ რუსეთიდან. ბურჯანაძეს რაც შეეხება, ივანიშვილზე გაცილებით ურცხვი პრორუსია და ვერ გეტყვით, რომელი უფრო საგანგაშოა, რესპუბლიკელების მოსვლა თუ ბურჯანაძის.

„ახალი თაობა“

ამით საპატრულოც უნდა დაინტერესდეს, თორემ ვიღუპებით!“

— რა ფალსიფიცირებული სამუხრუჭე სითხე იყიდება ელიავას ბაზრობაზე, რომელიც სიკვდილის მატარებელია? ვის შემოაქვს და საიდან ეს სითხე? როგორ ზარალობენ მანქანის პატრონები და რას ურჩევს გამოცდილი ავტომექანიკოსი სოლომონ ნათენაძე მათ?

— ამ სითხის ჩამოსხმის შედეგ იცით მუხრუჭს რა მოსდის? ან პედალი ჩავარდება, ან ქვავდება და არ იჭერს მანქანას... უნდა აუცილებლად გამოიკვლიონ, ვინ უშვებს ამას, რას უშვებს, რა „ჟიტკოსწია“, რა უბედურებაა... ამით საპატრულოც უნდა დაინტერესდეს, თორემ ვიღუპებით. ესაა ასპროცენტიანი ავარია... ალბათ, უნდა შეიქმნას სამსახური, რომელიც შეისწავლის და კონტროლზე აიყვანს ამ ამბავს.

„ალია“

„ახალი ხელისუფლება ჩემზე ძალადობს!“

საზოგადოება სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია, თუმცა, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც აღიარებენ, რომ ეს პროცესი ჭიანურდება. ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი ამბობს, რომ მისი ვაჟის მკვლელობის გამოძიების კუთხით ახალი არაფერია. „მეტიც, პროკურატურა ჩემთან არ თანამშრომლობს, არჩილ კბილაშვილსაც შევხვდი, რომელმაც მითხრა, ორი კვირა გვაცადეო. ეს ორი კვირაც გავიდა... კიდევ ორ კვირას დაველოდები და მერე რაც მოხდება საზოგადოება დაინახავს... შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა ჩემზე ძალადობენ, საქმე წინ არ მიდის“, — ამბობს იური ვაზაგაშვილი.

„ძართული სიტყვა“

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ◎ ცინცხალი ანეკდოტები

ვაჟიშვილი სახლში საყურეებით მივიდა.

ამის დამნახავი მამა ეუბნება: — იცი, შვილო, ათადან-ბაბადან საყურეებს ან მხოლოდ პირატი მამაკაცები ატარებდნენ, ანაც — პედერასტები. ახლა ფანჯრიდან გადავიხედავ და, ღმერთმა ნუ ქნას, ეზოში შენი გემი არ იდგეს.

* * *

მაღაზიაში მამაკაცი მორიდებით აჩერებს ქალს და ეუბნება:

— მაპატიეთ, ვერ მეტყოდით, ამ მაღაზიის რომელ განყოფილებაში შეხვიდოდით, ჯიბეში ფული რომ გქონოდათ?

— კოსმეტიკისაში.

— ო, დიდი მადლობა! გავიქცევი იმ განყოფილებაში ჩემი ცოლის მოსაძებნად!

* * *

— მას შემდეგ, რაც მოხდა, მე, როგორც კეთილშობილი ადამიანი, უბრალოდ ვალდებული ვარ, შენზე დავქორწინდე.

— მაინც რა მოხდა? — ეკითხება შეშფოთებული ქალიშვილი, რომელიც ბიკინებს იცვამს.

* * *

სკოლის გამოსაშვებ ზეიმზე ფიზკულტურისა და შრომის მასწავლებლებმა იჩხუბეს. გაიმარჯვა შრომის მასწავლებელმა, რადგან კარატე — ეს კარატეა, ჩაქუჩი კი — ჩაქუჩი.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაძის) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com